II გვერდი — „სამშობლოს პანორამა“ — ოფიციალური ცნობები.

III გვერდზე ჩვენი თანამემამულე საფრანგეთიდან ალექსი რუხაძე მოგვითხრობს თავის მოგზაურობაზე საქართველოში.

ქართველი მეცნიერი თეოფანე დავითაია საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ვიცე-პრეზიდენტია.

მე-4 გვერდი

„სიკეთის მსახური“ — ასე ჰქვია ლია მიქაძის წერილს, რომელიც გვაცნობს სოციალისტური შრომის გმირს, ექიმ სიმონ ქიქოძეს.

წაიკითხეთ!

მერი გაგრიაძის წერილი მოგვითხრობს პროფესორ რევაზ გაბრამიძის საინტერესო ახალ წიგნზე.

მე-5 გვერდი

თანამედროვე ქართველ მწერალს რევაზ ინანიშვილს გაეცნობით მოთხრობით „სკვინჩა“.

მე-6 გვერდი

კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნება დოცენტ გიორგი ხარატიშვილის წერილი — „კოტე მარჯანიშვილი რუსულ თეატრში“.

მე-7 გვერდზე გაეცნობით საინტერესო ამბებს, სპორტულ ინფორმაციებს.


გორის კანდელაკის წერილი — „პეტრიწონის სავანე“ შეგიძლიათ წაიკითხოთ მე-8 გვერდზე.

სამშობლო


საქართველოში მარჯანიშვილის საიუბილეო დღეებია.


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა ● № 22 (802) გამოცემის მე-16 წელი 1972 წლის 24 ნოემბერი

„სამშობლო“ — ფოტო 72









„იქ, სადაც წინათ არა ყვაოდა, ხრიოკ მიწაზე ბუჩქი და ჩირგვი, — დღეს მცენარეთა სხვადასხვაობა, ჩემო სოფელო, გამშვენებს ირგვლივ“ — მღერის ქართველი კაცი. და მართლაც, დახედეთ ამ სურათებს — მათზე დღევანდელი სოფლის ყოფაა აღბეჭდილი. ეს ახალგაზრდა გოგონა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე სვეტლანა ნიკოლაიშვილია. ვინ იცის, რამდენი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოუკრეფიათ მის ნატიფ თითებს!

ამ მშვენიერ სახლში კი, ნატანების კოლმეურნეობის წევრები თავიანთი სოფლის ყოველდღიური ცხოვრების საკითხებს განიხილავენ და მომავლის მიზნებს სახავენ.

სოფლის 300 ახალგაზრდა დაეცა ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. შინმოუსვლელთა ხსოვნას ეძღვნება ეს ობელისკი.

— შენ გაიხარე, შვილო, ისეთი ქალი გამოდი, სამშობლოს ესახელებოდე, — ლოცავს უხუცესი კოლმეურნე ეპიფანე ნიკოლაიშვილი თავის შვილიშვილს, საკუთარ მარანში.

იოსებ დავითაშვილისა და სერგო თევზაძის ფოტოები.

„სამშობლო“ — ფოტო 72

„სამშობლო“ — ფოტო 72

„სამშობლო“ — ფოტო 72

ოფიციალური ცნობები

გულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია თბილისში

15-16 ნოემბერს საქართველოს დედაქალაქი გულთბილად მასპინძლობდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის **ტოდორ ჟივკოვის** მეთაურობით, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით.

ბულგარელი ამხანაგები ეწვივნენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანას, რომლის წარმოების მუშაკები საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების კოლექტიური წევრები არიან.

სტუმრები იყვნენ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, სადაც დიდი ინტერესით დაათვალიერეს ძველი ქართული ჭედურობის, ტიხრული მინანქრის ნაწარმოებები, ცნობილ ოქრომჭედელთა ნამუშევრები, რომელთა ტრადიციები ქართველმა ოსტატებმა ააღორძინეს ჩვენს დროში. სტუმრებმა აღნიშნეს, ქართული ხელოვნების მუზეუმი არის მხატვრულ ღირებულებათა ნამდვილი საგანძური, და რომ აქ სტუმრობა მშვენიერებასთან შეხვედრას ნიშნავსო.

ბულგარელ სტუმრებს საზეიმო მიღება მოუწყეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

ბულგარელ ამხანაგებთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **კ. მაზუროვი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ედუარდ შევარდნაძე,** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გიორგი ძოწენიძე,** საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი ჯავახიშვილი** და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

16 ნოემბერს საპატიო სტუმრები თბილისიდან მოსკოვს გაფრინდნენ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისაგან

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, წესდების § 23-ის შესაბამისად იუწყება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) და წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატთა სახელებს, რომლებიც სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების საბჭოების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ წარდგენილი არიან მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილ წევრებად და წევრ-კორესპონდენტებად.

წარდგენილთა შორის არიან — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატები:

ბიწაძე ანდრია ვახილის ძე — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (მათემატიკის განყოფილება).

დავითაია თეოფანე ფარნაოზის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (ოკეანოლოგიის, ატმოსფეროს ფიზიკისა და გეოგრაფიის განყოფილება).

ჩხიკვაძე ვიქტორ მიხეილის ძე — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (ფილოსოფიისა და სამართლის განყოფილება).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატებად:

თავხელიძე ალბერტ ნიკიფორეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (ბირთვული ფიზიკის განყოფილება).

ფრანგიშვილი ივერი ვარლამის ძე — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილება).

თვალჭრელიძე გიორგი ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (გეოლოგიის, გეოფიზიკისა და გეოქიმიის განყოფილება).

გამყრელიძე თამაზ ვალერიანის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (ლიტერატურისა და ენის განყოფილება).

ლომიძე გიორგი იოსების ძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ლიტერატურისა და ენის განყოფილება).

საქართველოს დღეები ეროსკოვში

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დღეები. დედაქალაქის სტუმრები — საქართველოს წარმზავნილები შეხვდნენ მოსკოვის საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებს, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებს. ეს შეხვედრები ნამდვილ დღესასწაულად იქცა.

მიეძღვნა ფოლკლორის საკითხებს

თბილისში რამდენსამე დღეს მუშაობდა საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია ფოლკლორის თეორიის პრობლემებზე. იგი მოიწვიეს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების ენისა და ლიტერატურის განყოფილებებთან არსებული ფოლკლორის სამეცნიერო საბჭოებმა, მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურისა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტებმა. შესავალი სიტყვა წარმოთქვა პოეტმა-აკადემიკოსმა **ირაკლი აბაშიძემ.** საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ პროფესორები **მიხეილ ჩიქოვანი, ქსენია ხიხარულიძე, გრიგოლ ჩხიკვაძე, ელენე ვირსალაძე, იოსებ მეგრელიძე** და სხვები.

ხუთწლედის გმირი



საკავშირო ჟურნალმა „ოგონიოკმა“ ნოემბრის ნომერში რამდენიმე გვერდი მიუძღვნა მეცხრე ხუთწლედის გმირებს. მათ შორის, ვინც მკითხველებს წარუდგა, არის ვლადიმერ მეტრეველი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერი, სკკპ XXIV ყრილობის დელეგატი, საპატიო მეტალურგი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე. გთავაზობთ ამ წერილს.

მის გვარეულობაში ყველა მზარეული იყო — მამა, პაპა, ბიძები. ისიც „ხარშავს“, მხოლოდ... ფოლადს. როგორც ჩანს, ეს არც ისე ცუდად გამოდის, რადგან მარტენის № 3 ღუმელს, სადაც იგი მუშაობს, რუსთავში „აკადემიას“ ეძახიან.

• • •

მზურვალე სალამს მოგიძღვნით, ამხანაგებო, მზიური საქართველოდან ყველას, ვინც დღეს ამ დარბაზში შეკრებილა. რუსთავი, ისე როგორც ჩვენი მეტალურგიული ქარხანა, ოცი წლისაა მხოლოდ. უნდა ვიფიქროთ, რადგან ქალაქიც და ქარხანაც ახალგაზრდები არიან, მისი მუშებიც ახალგაზრდები უნდა იყვნენო. ჩვენს ქარხანაში მომუშავეთა საშუალო ასაკი კი ორმოცს შორდება. არც სხვა მეტალურგიულ წარმოებებშია სხვაგვარად. ხშირად გვიფიქრია: ვინ შეგვცვლის ჩვენ? ჰაბუკებს ღუმელთან მუშაობა აშინებთ, თუ სხვა რამე უშლით ხელს? ფიქრია, რომ არ მოდიან. ეს კი გულში გვხვდება. რატომ? ყოველდღიურად ქარხნიდან დაღლილი, მაგრამ ამაყნი ვბრუნდებით იმ შეგნებით გამსჭვალულნი, რომ დღეს რაღაც დიდი, ხალხისათვის, ქვეყნისათვის საჭირო მოვიმოქმედეთ. აი ეხლა ჩვენ, ამ შეხვედრის მონაწილენი, ჩამოვედით მოსკოვში და დავბინავდით შესანიშნავ, სტუმართმოყვარე სასტუმრო „როსიაში“. როდესაც დადიხარ დერეფნებსა და ჰოლებში, გინდა ხელით შეეხო სვეტებს — ფიქრობ: ალბათ, ჩემი ფოლადიც ურევია აქ! განა ეს არ არის ბედნიერება?

მოგიყვებით, როგორ გავხდი მეფოლადე. ჩემი ისტორია ჰკუისასწავლებელი გაკვეთილია ახალგაზრდებისათვის. სანამ ქარხანაში მოვიდოდი, მეტალურგიაზე წარმოდგენაც არა მქონდა. მთებში დავიბადე, სულ სხვა განათლება მივიღე — დავამთავრე თერთმეტი კლასი, ოთხწლიანი ტოპოგრაფიული ტექნიკუმი, საოფიცრო სასწავლებელი... დავბრუნდი სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან და გაზეთში წავიკითხე, რომ ჩემი ბიძაშვილი ვანო აურჩევიათ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ეს იყო უდიდესი საქმე! ვანო პირველი დეპუტატი გახლდათ რუსთავიდან. გადავწყვიტე, მივსულიყავი მასთან და მომელოცა. ბიძაშვილს გაეხარდა ჩემი მისვლა, მაგრამ უსაქმურობა არ მაპატია. დილით ქარხნის სანახავად წამიყვანა და აი სწორედ აქ შემიპყრო ცოუნებამ. მოვიდომე გამეგო, რა და როგორ ხდება იქ, ღუმელებში. მერედა, რა ვაჟკაცები იდგნენ ღუმელებთან — ძლიერნი, მეგობრულნი! მე ყველა ჩემი გეგმა დამავიწყდა, ისიც კი, ინსტიტუტში შესვლას რომ ვაპირებდი. წავუღე ხასმჭროს უფროსს განცხადება, რომ სამხომსხმო ამწის მემანქანედ მივედი. მან კი თავიდან ფეხებამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა — არა უშავს, სათანადო სიმაღლისა გახლავართ, — და უცებ გული მოუვიდა: „შენ რა, გაგიჟდი? შენგან შესანიშნავი მეფოლადე გამოვა“. არც შემცდარა — მე მეფოლადე გავხდი, და არ არსებობს ჩემთვის სხვა სამუშაო, უფრო ძვირფასი, რუსთაველიც დავრჩი და ცოლიც აქ ვითხოვე. მეუღლე მაშინ ინსტიტუტს ამთავრებდა, ვებმარებოდი სადიპლომო ნახაზების შედგენაში.

ერთხელ ჩვენთან უცხოელი კორესპონდენტები ჩამოვიდნენ. შეკითხებიან: „ვინ გინდათ გახდნენ თქვენი ვაჟები?“ „კარგი ადამიანები, — ვუპასუხე მე, — ხოლო რა პროფესია ექნებათ — ამას არა აქვს მნიშვნელობა“. მთავარია, იპოვო შენი თავი, შენი საქმე, რომელშიც თავს იგრძნობ პროფესორადაც და აკადემიკოსადაც, რომელსაც შეგეძლება ბოლომდე, ფესვებამდე ჩასწვდე. როდესაც მე ქარხანაში მოვედი, ჩვენი ღუმელი მხოლოდ 80 ტონა ფოლადს იძლეოდა. ახლა კი 200 ტონას გვაძლევს. ვამაყობ ამით!

მეცნიერის აღიარება

ქანადაში გაიმართა XXII საერთაშორისო გეოგრაფიული კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი თეიფანე დავითაია.

აკადემიკოსი დავითაია ავტორია 230 სამეცნიერო შრომისა, რომელთაგან ბევრი მონოგრაფიაა. დავითაიას გამოჩენილი მკვლევარია, რომელმაც მეცნიერება გაამდიდრა ჰავის საწარმოო შეფასების ახალი, მეცნიერული მიმართულების შექმნით. მის მიერ დამუშავებული აგროკლიმატური დარაიონების თეორიული საფუძვლები და ჰავის სასოფლო-სამეურნეო შეფასების რიგი ორიგინალური მეთოდი მიღებულია როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

დავითაიას შრომები გამოცემულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ესპანურ, ჩინურ და სხვა ენებზე. 1971 წელს საქართველოს რესპუბლიკური ეროვნული ატლასის შემქმნელ კოლექტივთან ერთად თეოფანე დავითაიას სახელმწიფო პრემია მიენიჭა. 1972 წელს კუბის ეროვნული ატლასის მომზადებისა და გამოცემის საქმეში დიდი დამსახურებისათვის კუბის მეცნიერებათა აკადემიამ ქართველი მეცნიერი დიდი ოქროს მედლით დააჯილდოვა.

და აი კიდევ ერთი აღიარება — XXII კონგრესზე, საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის გენერალური ასანბლეის დასკვნითს სხდომაზე ქართველი მეცნიერი ამ კავშირის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

ვთხოვეთ აკადემიკოს თეოფანე დავითაიას გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებისათვის მოკლედ გაეცნო საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ამოცანები და მოეთხრო XXII კონგრესის მუშაობის ამბავი. აი რა გვითხრა მან:

— საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირი მოწოდებულია შეაჯამოს, განაზოგადოს გეოგრაფიულ მეცნიერებაში მიღწეული ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემები და შემდეგი პერიოდისათვის დასახოს ახალი პრობლემები.

გეოგრაფიული კონგრესი იკრიბება 4 წელიწადში ერთხელ მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში. კონგრესებს შორის მიმდინარეობს გეოგრაფიული კავშირის სხვადასხვა კომისიის სხდომები, თათბირები, მიძღვნილი რიგი პრობლემებისადმი. ამ კომისიების რიცხვი ოცამდეა. მუშაობას ხელმძღვანელობს გეოგრაფიული კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტებისა და გენერალური მდივნის შემადგენლობით. ამ უკანასკნელ კონგრესზე გეოგრაფიული კავშირის პრეზიდენტად აირჩიეს სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი ჟან დრეში, ხოლო გენერალურ მდივნად — ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი ჩონს ჰარისი. აღსანიშნავია, რომ პროფესორი ჟან დრეში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი გახლავთ.

კონგრესი გაიმართა მონრეალში. იგი ერთგვარად საიუბილეო იყო — I კონგრესი შედგა 100 წლის წინათ, 1871 წელს ანტვერპენში. ამ თარიღის აღნიშვნას გენერალური ასანბლეის სპეციალური სესია მიეძღვნა. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა 2700 წამყვანი გეოგრაფი და მონათესავე დარგთა წარმომადგენელი მსოფლიოს 75 ქვეყნიდან. ერთდროულად მუშაობდა 13 სექცია და 22 კომისია, სადაც სულ მოისმინეს ათასამდე სამეცნიერო მოხსენება. მოხსენებები ეხებოდა გეომორფოლოგიის, კლიმატოლოგიის, ჰიდროლოგიის, ოკეანოგრაფიის, ბიოგეოგრაფიის, ეკონომიური გეოგრაფიისა და სხვა აქტუალურ პრობლემებს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბუნებრივი გარემოს თანამედროვე მდგომარეობის პრობლემებს, ატმოსფეროსა და წყლის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის საკითხებს, ცხოველთა სამყაროსა და მცენარეული საფარის დაცვას.

კონგრესის მონაწილეთათვის დაგეგმილი იყო სამოცზე მეტი გეოგრაფიული ექსკურსია კანადის პროვინციებში. ადგილებზე იმართებოდა სიმპოზიუმები. მთელი კონგრესი უაღრესად მაღალ მეცნიერულ დონეზე მიმდინარეობდა.

საბჭოთა დელეგაციაში შედიოდა 43 მეცნიერი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან, რომელთა მოხსენებებმა ფართო ინტერესი გამოიწვიეს. მეცნიერთა საუკეთესო შეფასება დაიმსახურა აკადემიკოს ინოკენტი გერასიმოვის, პროფესორ კონსტანტინე სალიშჩევის, პოლარეთის ცნობილი მკვლევარის, სოციალისტური შრომის გმირის ალექსანდრე ტრეშნიკოვისა და სხვათა მოხსენებებმა.

კონგრესზე წავიკითხე ორი მოხსენება, ხოლო ერთი მოხსენება — სიმპოზიუმზე ლეტბრიჯის უნივერსიტეტში. მსმენელები დაინტერესდნენ ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებით ატმოსფეროს გაზოვანი შემადგენლობის თანამედროვე შემცირების ტენდენციისა და მისი თავიდან აშორების დარგში. დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ავტორთა კოლექტივის მიერ დამუშავებულმა აორთქლების გამოანგარიშებისა და გვალვიანი ტერიტორიების სარწყავი ნორმების პროგნოზირების მეთოდმა.

საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის გენერალური ასამბლეის ერთერთ სხდომაზე განიხილეს საკითხი შემდგომი, XXIII საერთაშორისო გეოგრაფიული კონგრესის დროისა და ადგილის შესახებ. სხდომაზე ერთსულოვნად მიიღეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წინადადება, რომ კონგრესი მოსკოვში გაიმართოს, 1976 წელს. ეს კი დიდი ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენი ქვეყნის გეოგრაფებს. გველის დიდი მოსამზადებელი მუშაობა. გეგმის შესაბამისად გათვალისწინებულია აგრეთვე სამეცნიერო სიმპოზიუმების გამართვა, რომლებიც მიეძღვნება მთიანი და სუბტროპიკული მხარეების ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიურ-გეოგრაფიული შესწავლის პრობლემებს.

კონგრესის მრავალმა დელეგატმა გამოთქვა სურვილი, რათა სამეცნიერო სიმპოზიუმები საქართველოში გაიმართოს.

საუბარი ჩაიწერა
ჯუმბერ ჯიშკარიანმა

მარჯანიშვილის საიუბილეო ღღეები

საქართველოში ზეიმის — ფართოდ აღინიშნება დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის საიუბილეო დღეები. ამ დიდ ზეიმში მონაწილეობენ მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებიც.

გუშინ დილით სტუმრებმა და მასპინძლებმა გვირგვინით შეამკეს მარჯანიშვილის საფლავი მთაწმინდის პანთეონზე. დღის 12 საათზე კი მისსავე სახელობის თეატრში დაიწყო სამეცნიერო სესია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ. მოხსენებები წაიკითხეს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორებმა დიმიტრი ჯანელიძემ, ეთერ გუგუშვილმა და სხვებმა.

სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ დიდი რეჟისორის შვილი — საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კონსტანტინე მარჯანიშვილი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი და აკაკი ვასაძე, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი, საქართველოს სახალხო მხატვარი ელენე ახვლედიანი და სხვები.

დღეს დიდი საზეიმო საღამო გაიმართება ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც გაიხსნება გამოფენაც.

ხვალ კი ზეიმი კახეთში, ყოტეს მშობლიურ ყვარელში გადაინაცვლებს.





თეთმეტი წლისა...

თხუთმეტ ნოემბერს დაბადების თერთმეტი წელი შეუსრულდა. ამ ხნის განმავლობაში კონცერტები გამართა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა დიდ ქალაქში, იმოგზაურა ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთში...

მათ ცეცხლოვან ცეკვებს ოვაციას უმართავდნენ კრემლის ყრილობათა სასახლეში და სვეტებიან დარბაზში, მოსკოვის პიონერთა სასახლეში. ცენტრალურმა ტელევიზიამ ნორჩთა ხელოვნება მილიონობით მაყურებელს სამჯერ უჩვენა, ერთხელ კი მათი კონცერტი ინტერვიდვითაც გადაიცა — აი როგორია თბილისის 39-ე საშუალო სკოლასთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის სადარბაზო ბარათი...

ყველაფერი კი ასე დაიწყო: 1961 წლის 15 ნოემბერს კონსერვატორიის საორკესტრო ფაკულტეტის სტუდენტი თამაზ გოგოტიშვილი თბილისის 39-ე საშუალო სკოლაში ცეკვის მასწავლებლად მიიწვიეს. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ყმაწვილი მოწაფეობის წლებში ქართული ცეკვების შესანიშნავ შემსრულებლად ითვლებოდა. და აი იგი კვლავ დაუბრუნდა საყვარელ ხელოვნებას, მხოლოდ როგორც აღმზრდელი.

თავდაპირველად ქართული ცეკვების შემსწავლელ წრეში, რომელიც 20-25 ბავშვზე იყო გაანგარიშებული, 52 მოსწავლე ჩაეწერა. ფიქრობდნენ, პირველი გატაცება ბავშვებს მალე გაუვლით და წრეს ნახევარიც რომ შერჩეს, ისიც კარგი იქნებაო. მაგრამ რეპეტიცია რეპეტიციას მიჰყვებოდა, ცეკვას კი თავს არავინ ანებებდა...

დღეს ანსამბლში მეორე თაობაა მოსული, ეწლა მარინე ძნელაძის, მარინე იაკობაშვილის, ნინო მეიფარიანის, მანანა ჩხეიძის, ნათია ჯანაშიას, ალეკო ნიკოლაიშვილის, გია ჭოღოშვილის, გია სურმავას, გია კუხიანიძის, გია დოლიძის, ზაურ ელიზბარაშვილის, როლანდ როსტომაშვილის, პავლე ეგაძის, დათო შანიძის „გაწდაგანას“, „ხორუმს“, „ყაზბეგურს“ თუ „მთიულურს“ უკრავენ ტაშს თბილისსა და მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში.

ანსამბლი ორიოდე კვირის წინათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთში მოგზაურობდა. როგორც ყოველთვის, მათი თანამგზავრი ამჯერადაც დიდი წარმატება იყო.

პატარა მოცეკვავეების ყველა დიდ სიხარულს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილიც იზიარებენ — ისინი ხომ ანსამბლის მზრუნველი შეფები არიან.



სურათზე: ლაღად გაუშლია მხრები გია ჭოღოშვილს; ცეკვავს პირველკლასელი ალეკო ნიკოლაიშვილი.

გივი კაკავაძის ფოტოები.

სტუმრად... სამშობლოში

კიდევ ვეწვევი!

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოების მოწვევით კვლავ მომეცა საშუალება ფეხი დამედგა ჩემი წინაპრების მიწაზე და განმეცადა ქართული სტუმართმოყვარეობის სითბო. ეს ხანმოკლე პერიოდი ნაყოფიერად გამოვიყენე, რათა გამეგრძელებინა ქართული ენის შესწავლა, გავცნობოდი საქართველოს ისტორიას, ლიტერატურასა და ქართულ კულტურას, დამეთვალიერებინა ღირსშესანიშნაობანი. შემოვიარე თბილისი და მისი შემოგარენი, გმირული წარსულის მოწმე ეკლესია-მონასტრები და ციხეები — სიონი, ქვაშვეთი, სვეტიცხოველი, ჯვარი, ნარიყალა, გორის ციხე და კიდევ სხვა მრავალი.

განსაკუთრებით მომხიბლა საქართველოს ერთ-ერთმა ულამაზესმა კუთხემ — ფშავმა თავისი განუმეორებელი ბუნებით. სოფელ ჩარგალში ვეწვიე ვაჟა-ფშაველას პატარა ქოხს, რომელშიც უცხოვრია და თავისი უკვდავი პოემა შეუქმნია დიდ პოეტს.

ვესტუმრე ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის — ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლს წინანდალში, სადაც ყველაფერი პატრონის დახვეწილ გემოვნებაზე მეტყველებს. სახახლეს მშვენიერი ბაღი აკრავს. აქ გაშენებული წინანდლის მეურნეობა საამაყოდ ინახავს და აგრძელებს სახელგანთქმული კახური ღვინის წარმოების ტრადიციებს. გზაზე გამოვიარეთ საქვეყნოდ ცნობილი მევენახეობის ცენტრები — გურჯაანი, მუკუზანი, მანავი...

ჭუთაისში ჩემი გამგზავრების ძირითადი მიზანი საავტომობილო ქარხნის დათვალიერება იყო. ეს არის საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი და უდიდესი საწარმო, სადაც ათასობით კაცი შრომობს. პროფესორ ლევან სანიკიძესთან ერთად, რომელიც ჭუთაისში გვმასპინძლობდა, დავათვალიერე წყალტუბო, ვეწვიე ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს...

განსაკუთრებით მაინტერესებდა თბილისის მუზეუმები და გამოფენები, რომლებიც თვალნათლივ ასახავენ ქვეყნის წარსულს, მისი განვითარების ეტაპებსა და დღევანდელ დღეს როგორც ეკონომიური, ისე კულტურული ცხოვრების თვალსაზრისით.

დავესწარი ძველი თბილისის ცხოვრების ამსახველ სპექტაკლებს, მოვიხიბლე ძველი ქართული პოეზიითა და სიმღერებით, კოლორიტული კინოტებითა და ყარაჩოღელებით.

წილად მხვდა ბედნიერება აქ, თბილისში მეხილა ამერიკული სახალეტო დასის ბრწყინვალე ხელოვნება, რომლის შემქმნელი და ხელმძღვანელია ჩვენი თანამემამულე გიორგი ბალანჩივაძე (ბალანჩინი).

მჭონდა დიდი პატივი პირადად გავცნობოდი საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს. მისი ტილოები, ისევე როგორც თვითონ ეს დიდი ხელოვანი, ყოველთვის განუზომელ აღფრთოვანებას იწვევს ჩემში.

დავათვალიერე ახალგაზრდა ქართველ მხატვართა გამოფენა. მათ ნამუშევრებში ჩანს თითოეული მათგანის ნიჭიერება, გემოვნება, ხელწერა.

ვეწვიე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს — საქართველოს უდიდეს უმაღლეს სასწავლებელს, სადაც მეცნიერების მწვერვალებს ეუფლება ათასობით სტუდენტი. გავეცანი ფრანგული ენის კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მუშაობას.

დასრულდა ჩემი ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად საინტერესო დღეები საქართველოში. ვხარგებლობ შემთხვევით, რომ უღრმესი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ნამდვილი ქართული სტუმართმოყვარეობით გამიწია მასპინძლობა, განსაკუთრებით უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოების თავმჯდომარეს ბატონ ოთარ გიგინეიშვილს.

ვიმედოვნებ, რომ საფრანგეთიდან კიდევ არაერთხელ ვეწვევი ჩემ საქართველოს, სადაც ჯერ კიდევ ბევრი რამ დამრჩა სანახავი და სადაც მრავალი გულითადი შეხვედრა მელის.

ალექსი რუხაძე

სიკეთის მსახური



ელისომ გამოგვიცხადა — ეხლა ჩემი გაკეთებული ნაყინი უნდა გაგასინჯოთო, და მაცივარი გამოაღო. გვირჩია, ალუბალთან ერთად მიირთვით, ნახავთ, როგორ ისიამოვნებთო.

მაგიდას ხუთნი ვუსხედით — ელისოს მშობლები, ელისო, მისი მეგობარი ლია და მე. ამ ოჯახში პირველად გახლდით და ფარული ცნობისმოყვარეობით შევცქეროდი მასპინძლებს. ელისოს მამას — ბატონ სიმონს მთელი საღამოს განმავლობაში ღიმილი არ მომშორებია სახეზე. მის მზერაში უსაზღვრო სითბო, სინაზე იგრძნობოდა ქალიშვილის მიმართ. მხოლოდ კეთილშობილ, დიდბუნებოვან ადამიანებს აქვთ ასეთი გამხედვა!

მისი მეუღლე, ქალბატონი თამარი, თმაშეკერცხლილი, მომხიბლავი ქალი, მშვიდად, წყნარად წარმოთქვამდა ყოველ სიტყვას. ყველაფერში იგრძნობოდა, რომ იგი ღირსეული წყვილია თავისი სახელგანთქმული მეუღლისა.

დიახ, სახელგანთქმული — ჩემი მასპინძელი ცნობილი ექიმი, სოციალისტური შრომის გმირი სიმონ ქიქოძე გახლდათ.

უნდა ვაღიარო, როცა ამ ოჯახში სტუმრად მოვდიოდი, ცოტა არ იყოს, მაკრთობდა ჩემი მასპინძლის ტიტული — სოციალისტური შრომის გმირები მხოლოდ იშვიათი, გამორჩეული ადამიანები არიან, უკეთესნი უკეთესთა შორის. მაგრამ როგორც კი ზღურბლს გადმოვაბიჯე, ყოველგვარი უხერხულობა, ახლად გაცნობილ ადამიანებს რომ შეიყრობთ ხოლმე, სადღაც გაქრა და ამ კეთილ ოჯახში თავი ისე ვიგრძენი, როგორც იშვიათ მეგობართა შორის. და როდესაც ელისომ მითხრა, ჩვენი სახლი ისტორიულია, აქ უცხოვრიათ ნიკო ლორთქიფანიძესა და ლეო ქიაჩელსო, გავიფიქრე, ეს სახლი ბედნიერი ყოფილა, რადგან დღესაც ერთი შესანიშნავი პიროვნება მისი ბინადარია-მეთქი...

პირველი შთაბეჭდილება ამ დარბაისელ კაცთან შეხვედრისა — შრომისმოყვარე, კეთილი, მართალი, პირდაპირი. როგორ არა ჰგავს იგი იმ ადამიანებს, რომლებზეც ჟურნალისტებმა ვიცით ხოლმე თქმა — არ უყვარსო თავის თავზე ლაპარაკი. ჩემი მასპინძელი ხალისით მიყვება თავის საქმიანობაზე და საკუთარ თავზეც, რადგან თვითონ და მისი საქმეც განუყრელნი, ერთნი არიან, რადგან მტკიცედ სწამს, კაცი შრომით ფასდება და რომ ყველა სპეციალობა საინტერესოა, რომელსაც შეისწავლი და შეიყვარებ.

იშვიათად ხდება ხოლმე, დაწესებულება და მისი ერთგული მსახური თანატოლნი რომ აღმოჩნდებიან. ბატონი სიმონი სწორედ ასეთი ბედნიერი გამონაკლისია — ქალაქის სადგუნფექციო სადგური, რომელსაც იგი უკვე 50 წელი-წადია ხელმძღვანელობს, 80 წლისაა და თვითონაც წლეულს, ოქტომბერში აღნიშნა თავისი დაბადების 80 წლისთავი.

...დაიბადა ბათუმში. მამა სათამბაიროს წევრი იყო. დედა თავგამოდებით ეხმარებოდა ყველას, ვისაც კი სწავლა სწყუროდა — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი გახლდათ. რა დაავიწყებს პირველ მასწავლებელს ქართულ სკოლაში — ისიდორე რამიშვილს. შემდეგ რუსული გიმნაზია და მოსწავლეთა გაფიცვა 1908 წელს, როდესაც შოვინისტი პედაგოგის გაკვეთილზე იფეთქა პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდების მიერ ღუმელში ჩაგდებულმა ყუმბარამ... რევრესიები, სკოლიდან გარიცხვა... სხვა სკოლა... გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ბათუმში აღარ დარჩენილა, თბილისში გადმოსახლდა ბიძასთან, ტატე ქიქოძესთან, შესანიშნავ ექიმთან. მან შეაყვარა ყველაზე პუმანური პროფესია — ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახური, მის სახელს უმადლის თავის დღევანდელ მიღწევებს

1911-1916 წლებში მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა. 550-ნი იყვნენ კურსზე. იმ დღიდან მოყოლებული ყოველწლიურად ხვდებიან ერთმანეთს. წლეულს, ბოლო შეხვედრაზე, მხოლოდ 50 კაცმა მოიყარა თავი...

ეხლა, როცა უკან დარჩა სიძნელეებით სავსე წლები, სვედიანი ღიმილით თუ მოიგონებ წარსულს. თითქოს გუშინ იყო, მხოლოდ ერთი სანიტარული ექიმი რომ ჰყავდა ქალაქს. დღეს ასობით ექიმი ემსახურება სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ დარგს, რომელიც საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის ქვაკუთხედია. სადღაა ის ფარღალატა ბარაკები, სადაც ავადმყოფებს მკურნალობდნენ, ან ის თითო-ოროლა ეტლი, რომლითაც გადაჰყავდათ დაავადებულები. სად იყო ინფექციური საავადმყოფო, მხოლოდ ეპიდემიების დროს ხსნიდნენ კერძო სახლებში სამკურნალოებს...

ბევრი ცნობილი ექიმი ერთგულად ემსახურა საქართველოში ინფექციურ დაავადებათა აღმოფხვრის საქმეს. სიმონ ქიქოძე, ჯერ კიდევ სტუდენტი, ინფექციონისტად მუშაობდა ბორჩალოს მაზრაში. შველოდა ტიფით, ყვავილით დაავადებულებს, სხვა ქვეყნებიდან ლტოლვილთ — პირდაპირ ღია ცის ქვეშ, ეკლესიის გალავანში მკურნალობდნენ მათ.

წლები წლებს მისდევდა... დაიწყო დიდი სამამულო ომი.... იფეთქა ეპიდემიამ...

სამი თვის განმავლობაში შინ არ მისულა სიმონ ქიქოძე. სამი თვე დღე-ღამეს ასწორებდა. სამ თვეში მოისპო საშიში დაავადების ეპიდემია. იმ წლებისათვის ეს ნამდვილი გმირობა იყო.

1944 წელს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოეს.

1945 წელს დამსახურებული ექიმი გახდა.

1951 წელს ლენინის ორდენით აღინიშნა მისი საქმიანობა.

1969 წლის 4 თებერვალს კი საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა...

დღეს თამამად შეუძლია თქვას — დიდი მიზანი, წლების წინათ დასახული, მიღწეულია. დღეს საქართველოში არსებული სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური, სადეზინფექციო და ხადერატიზაციო სადგურები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები ემსახურებიან ერთ დიდ მიზანს — არ დაუშვან ინფექციური დაავადებები, მათი გავრცელება მოსახლეობაში. და რარიგ სასიხარულოა, როცა იცი, რომ ამ უხარმაზარ და კეთილ საქმეში შენი წვლილიც ურევია...

რა შეიძლება კიდევ ითქვას ბატონ სიმონზე, მის საქმიანობაზე, ადამიანობაზე, მოქალაქეობრიობაზე? რომ ის შესანიშნავი მეოჯახეა, მზრუნველი მეუღლე, კარგი შვილების მამა. მეუღლე თამარი სპეციალობით ექიმია, მაგრამ ამჟამად მხოლოდ დიასახლისობით კმაყოფილდება... ქალიშვილი ელისო ხელოვნების მუშაკთა სახლის სამხატვრო ხელმძღვანელია, ვაჟი გია — გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი და ინსტიტუტის სწავლული მდივანი, რძალი ეთერიც მეცნიერებათა კანდიდატია და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი.

ბატონი სიმონის ყველაზე დიდი მეგობარი ოჯახში დათოა. ბიჭუნა უკვე პირველი კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა და, ალბათ, ბევრს შეშურდება ისეთი მეგობრობა, ბაბუასა და შვილიშვილს რომ აკავშირებს. თუმცა მათ მეგობრობას სერიოზული საფრთხე ემუქრება: დათოს ძმიკო ერეკლე ჯერჯერობით დაბადების მესამე თვეს ითვლის, მაგრამ ბაბუას მეგობრობაზე უკვე სერიოზულ პრეტენზიებს აცხადებს....

ელისო ისევ მაგიდასთან ფუსფუსებს. მამა კვლავ ღიმილით შესცქერის. წასასვლელად ვემზადები, მასპინძლები კარამდე მაცილებენ... და მე სამუდამოდ მომყვება დიდი სითბო, ამ კარგი ოჯახის სიმყუდროვისა და სიკეთის დედაბოძი.

ლ. გიგაბაძე

ქართული მწერლობის საფუძვლებთან

გამომცემლობა „განათლებამ“ მკითხველებს მიაწოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, პროფესორ რევაზ ბარამიძის წიგნი „ქართული საისტორიო პროზა“.

ნაშრომში მოცემულია ეროვნული ისტორიოგრაფიის ანალიზი, მატიანეები, შესწავლილია საისტორიო პროზის ნიმუშები როგორც ლიტერატურული მოვლენა. განხილულია ქართული მწერლობის წარმოშობის საკითხები.

დღემდე ქართული მწერლობის ყველაზე ადრეულ ძეგლად მიჩნეულია V საუკუნის თხზულება იაკობ ცურტაველის „მარტვილობაჲ შუშანიკისი“. ეს ძეგლი მხატვრული სრულყოფით მწერლობის განვითარების იმდენად მაღალ საფეხურზეა, რომ მას ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივიჩნევთ ქართული პროზის საწყისადო, წერს წიგნის ავტორი.

ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებაზე“ (XI საუკუნე) საგანგებო დაკვირვებამ ქართველი მკვლევარები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ავტორმა საქართველოს ისტორიის მთლიანი სურათის შექმნისათვის, ამა თუ იმ ძეგლის მცირე ფრაგმენტების გარდა, თავის თხზულებაში შეიტანა ადრეულ საუკუნეებში შექმნილი ნაწარმოებებიც სავსებით დასრულებული სახით, რომლებშიც აღწერილი იყო ჩვენი ისტორიის გარკვეული მონაკვეთი.

ერთ-ერთი ამგვარი ძეგლი, რომელმაც სხვებზე მეტად შეინარჩუნა თავისი პირვანდელი და დამოუკიდებელი სახე, პროფესორ რევაზ ბარამიძის აზრით, მროველის მიერ გადამუშავებულ რედაქციაში და იგი მატიანეში შევიდა პირვანდელი სახით. ქრისტიანი მწერლის — ლეონტი მროველის სხვა თხზულებებში კი აშკარად ჩანს მისი ქრისტიანული პოზიციები. ეს მომენტი აძლიერებს რწმენას, რომ ძეგლი უნდა ეკუთვნოდეს წინაქრისტიანულ ეპოქას და უნდა იყოს წარმართული მწერლობის ნიმუში.

ამ თხზულებაში ფოლკლორულმა მასალებმა მიმზიდველი გახადა თხრობა. მაგრამ ბევრია ისეთი დეტალი და ფაქტი, რომლებიც აბსოლუტურად გამორიცხულია ზეპირსიტყვიერ ძეგლში და მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოებისათვის არის დამახასიათებელი. ამ ფაქტს ადასტურებს აყადემიკოსი გიორგი მელიქიშვილიც. მწიგნობრობის უტყუარი ნიშანი ადევს ნაწარმოებში დაცულ იმ ცნობებსაც, რომლებიც საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას ეხება. „ფარნავაზის ცხოვრების“ ავტორის პირველწყაროთა სიძველის მაჩვენებელია ეთნოგრაფიული ცნობები. სწორედ ეს არჩაუღობა არის მაუწყებელი ამ ძეგლის წიგნური და არა ხალხური ხასიათისა.

ფარნავაზთა დინასტია და თვით მეფე ფარნავაზი ლეონტი მროველის ცნობაზე ბევრად ადრე მოიხსენიება ისტორიულ წყაროებში. ფარნავაზი ცხოვრობდა III საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ისმება კითხვა: როდის უნდა დაწერილიყო „ცხოვრება ფარნავაზისი“? ის რომ ფარნავაზის თანამედროვის მიერ ვერ იქნება შეთხზული, ამაზე მოგვანიშნებს ლეგენდის ელემენტები, რომელთა შექმნას ერთი თუ არა, ნახევარი საუკუნე მაინც დასჭირდებოდა. მაგრამ ფარნავაზის სიკვდილიდან ამ ნაწარმოების დაწერამდე დიდ პერიოდსაც არ უნდა გაევლო. მოთხრობის ავტორი საკმაოდ რეალისტურად ასახავს მოვლენებს, იცავს გეოგრაფიულ სახელწოდებებს და ისტორიულ ფაქტებს. ამიტომ, მკვლევარის ვარაუდით, „ცხოვრება ფარნავაზისი“ დაწერილია დაახლოებით II საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

როგორც პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი ასკვნის: „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ძველი ქართველი ისტორიკოსების თხზულებები ჩვენამდე მოღწეულია შეცვლილი სახით. ყოველ შემთხვევაში, ამ შრომების დასასრული და დასაწყისი რედაქტორთა მიერ იკვეცებოდა და იცვლებოდა. და რადგან ავტორის სახელი მოხსენებული იქნებოდა თხზულების თავში ან ბოლოში, არ შეგვრჩა „ქართლის ცხოვრებაში“ არც ერთი თხზულება, რომლის ავტორი იქვე იყოს დასახელებული. გარდა სუმბათ დავითის ძის ქრონიკისა, — დანარჩენ თხზულებებს არ შერჩათ ის ადგილები, სადაც შეიძლება მოხსენებული ყოფილიყო ავტორის სახელი“.

სწორედ ამის შედეგია, რომ „ცხოვრება ფარნავაზისა“ ავტორის სახელმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ამრიგად, პროფესორ რევაზ ბარამიძის აზრით, „ცხოვრება ფარნავაზისი“ არის ერთ-ერთი უძველესი დამოუკიდებელი ნაწარმოები, რომელიც შექმნილია II საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ეს დიდებული მოთხრობა ჩვენმა სახელოვანმა ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა შეიტანა თავის მატიანეში, რის შედეგადაც „ქართლის ცხოვრებამ“ თითქმის სრული სახით შემოგვინახა უძველესი ქართული ორიგინალური წარმართული ლიტერატურული ძეგლი, რომელიც შვიდი საუკუნით უნდა უსწრებდეს „შუშანიკის მარტვილობას“. ამრიგად, მკვლევარის რწმენით, ქართული მწერლობის საწყისად უნდა მივიჩნიოთ არა მარტვილობა შუშანიკისი“, არამედ „ცხოვრება ფარნავაზისი“.

მერი გაბრიაძე

ეგვიპტელ ქალს — რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“

ეგვიპტეში, ელ-ტაბინის უმაღლეს მეტალურგიულ ინსტიტუტში, ორი წლის მანძილზე ინგლისურ ენაზე ლექციებს კითხულობდა თბილისის ხახელმწიფო უნივერსიტეტის დარგობრივი ეკონომიკის ფაკულტეტის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის დოცენტი ვაჟა გურგენიძე. ამ ინსტიტუტში ეგვიპტის უნივერსიტეტების დამთავრებისა და გარკვეული პრაქტიკის შემდეგ, მოდიან სპეციალისტები, რათა უფრო საფუძვლიანად და ღრმად დაეუფლონ მეტალურგიის საკითხებს.

ვაჟა გურგენიძე ელ-ტაბინის ინსტიტუტში არა მარტო ლექციებს კითხულობდა, არამედ ხელმძღვანელობდა კიდეც წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრას. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული 8 დიპლომანტისაგან 3 ინსტიტუტში დატოვეს ასპირანტად.

მაგრამ ქართველი მეცნიერი მხოლოდ თავისი ძირითადი საქმით არ იფარგლებოდა — სტუდენტთა ფართო აუდიტორიის წინაშე მან ბევრჯერ წაიკითხა ლექციები საქართველოს ისტორიაზე, მის კულტურასა და ხელოვნებაზე, ლიტერატურასა და მეცნიერებაზე. ვაჟა გურგენიძის სტუდენტებმა გაიცნეს საქართველო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი...

კურსდამთავრებულთა ჯამოსაშვებ საღამოზე, რომელიც დიდი ზეიმით აღინიშნა, ვაჟა გურგენიძემ თავის მოწაფეს, ერთ-ერთ პირველ ეგვიპტელ მეტალურგ ქალს ნაგვა ნაზიფს „ვეფხისტყაოსანი“ ვენერა ურუშაძისეული ინგლისური თარგმანი აჩუქა.

ამჟამად ვაჟა გურგენიძე დაუბრუნდა მშობლიურ უნივერსიტეტს. ეგვიპტეში კი სამუშაოდ გაემგზავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, მეტალურგი მელორ თოფურია.

პაზიკი ფიქრებზე

ეხიპტოში გაიმართა სტომატოლოგთა საერთაშორისო ფედერაციის XV მსოფლიო კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მეცნიერი-სტომატოლოგი.

საბჭოთა კავშირის დელეგაციაში შედიოდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ორთოპედიული სტომატოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი სანდრო მეჩიტაშვილი.

სკვინჩა



იური ქლდიაშვილის ნახატი

◆

მოთხრობა

◆

სკვინჩას ვენახის თავში ჩადგმულ თივის ბულულში ეძინა. შუაღამისას გაეღვიძა. მთებიდან ნიავი უბერავდა და ბულულს აფაჩუნებდა.

სკვინჩას შესცივნოდა. გაიფოფრა, ფრთები შეათახთახა, ბულულის გულისკენ შებრუნდა, ღრმად შეძვრა, ხეშეში ბალახები თავით და მხრებით მისწი-მოსწია, ისევ ჰაერისკენ შემობრუნდა და ჩაიყუჟა, ჩაყუჩდა. ცივი ნიავი ვენახის მავთულებზეც სჩხინებდა, აქა-იქ შერჩენილ ხმელ ფოთლებსაც ატკაცუნებდა, მაგრამ ბულულის სიღრმეში სასიამოვნოდ თბილოდა და კვლავ მშვიდად ჩაეძინა.

ეძინა გათენებამდე. კარგად რომ გათენდა, ბულულიდან გამოძვრა, ქლიავის ხმელ ტოტზე შეფრინდა. წუხანდელი ნიავი ქარად ქცეულიყო და სამინლად ციოდა. წინა დღეებში პირშემდნარი თოვლი გაყინულიყო. ადგილ-ადგილ ლურჯად კიაფობდა. სკვინჩამ ქარს ზურგი შეაქცია, ცოტა ჩანს ასე იჯდა, თითქოს გასაფრენ გეზს ირჩევდა, მხრებთან ბუმბული ეწეწებოდა და ტოტზე თითებმოწებებულივით ქანაობდა, მერე მომიჯნავე ხეხილნარში გადაფრინდა და ღობის ძირას ჩაჯდა.

ქარიან ამინდში ხეებიდან ჭიაღუა ცვიოდა ხოლმე, მაგრამ ახლა ვერაფერი იპოვა. ლარივით წვრილი, ოქროსფერი ფეხებით დიდხანს დადიოდა პირშეყინულ თოვლზე, შავად გაფანტულ წინწკლებს შორის, პატარა, სამკუთხა ნისკარტით ხან რას აილებდა, ხან რას, ერთს გაკვნეტდა, მეორეს ვერ მოერეოდა, გადააგდებდა...

გავიდა ნაბოსტნარშიც, ვერც იქ იპოვა ვერაფერი, მოიწყინა, მალ-მალე ჩერდებოდა, თავს ხან ერთ მხარეს გადასწევდა, ხან მეორეზე, თითქოს რაღაც შორეულ ხმას უგდებდა ყურს.

ნაბოსტნარის იქით დიდი კაკალი იდგა. ამ კაკლის ტოტებს ქარი აქანავებდა, აჭრაჭუნებდა, კენწეროს კი მზე მისდგომოდა და ვარდისფრად მოევარაყებინა. სკვინჩა აფრინდა, წავიდა მაღლა-მაღლა და ზედ კენწეროზე დაჯდა. თოვლიანი მთის უკანიდან ამოსული მზე თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდა, მაგრამ აქაც ძალზე ციოდა. სკვინჩა იჯდა და სოფლისკენ იყურებოდა. მეტი გზა არ იყო, ისევ სოფელს უნდა მისდგომოდა. გაშალა ფრთები, გაფრინდა და გამონაპირებული სახლის მესერზე დაჯდა. ორღობეში დარუებული ქარი არ აყენებდა, მაგრამ მაინც უძალიანდებოდა.

ეზოში არც ბავშვები ჩანდნენ, არც კატა. მაძღარი, ბედით კმაყოფილი ქათმები ქარს მორიდებოდნენ და კიბის ქვეშ შეგროვილიყვნენ. თვით ყეყეჩი მამალიც კი რაღაც ფიქრებით იყო გართული, მაგრამ სკვინჩა მაინც ვერ ბედავდა ძირს ჩაფრენას. ბოლოს თითქოს ქარმა გადმოაგდო მესრიდან. — ერთი! ორი! — ორჯერ მოიქნია ფრთები ჰაერში თავის შესაკავებლად და გომურის კართან ჩაჯდა.

აქ სიმშრალე იყო, ქათმებს წვრილ-წვრილი, ბეტონი მარცვლები დარჩენოდათ ასაკენჭი. სკვინჩას მეტიც არ უნდოდა, სწრაფად დახტოდა, კენკავდა, ყლაპავდა, გულზე ადგებოდა, მაგრამ მაინც გაჩქარებით კენკავდა და თან აქეთ-იქით იხედებოდა. სულის მოსათქმელად ისევ მესერზე შეფრინდა. ახლა უკვე ადვილად უძალიანდებოდა ქარს. ყეყეჩი მამალი ფიქრიდან გამორკვეულიყო და ბეცი თვალებით სკვინჩასკენ იყურებოდა. იცნო სკვინჩა, ყო-ყო-ყოო, — ვითომდა ღრმა-ხზროვნად ჩაილაპარაკა, მაგრამ სკვინჩას ყურადღება აღარ მიუქცევია, ისევ გომურის კართან ჩაფრინდა. სამი მარცვალიც არ ექნებოდა აღებული, გამოვარდა საიდანღაც თხილისიმსხო კენჭი, დაეჯახა ფერდში და ნაკელის გროვაზე მიაგდო. სკვინჩამ უმწეოდ ამოიჭყივლა, ჭრელი ფრთები გაფართხა და კანკალი დაიწყო, მერე აიწია, უნდოდა აფრენილიყო, მაგრამ ვეღარ აფრინდა. დაინახა მორბის სახლის მხრიდან გახარებული ბიჭი...

მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე, წაფართხალდა, წაბორიალდა, აიწია, აიწია მაღლა, წაიღო თავის ნებაზე ქარმა და თუთის ტოტებში შეაგდო. ძლივს მოახერხა დაჯდომა. ისევ დაინახა: მორბის დაფეთებული ბიჭი და თან შურდულს უმიზნებს. მოიკრიბა კიდევ უკანასკნელი ძალ-ღონე და გაფრინდა. იფრინა, იფრინა და ერთი ბაღის ბოლოში, ხშირ ბუჩქნარში ჩაეშვა, ჯერ კუნელის ტოტზე იჯდა და საბრალობლად იხედებოდა აქეთ-იქით, მერე დარწმუნდა, აღარავინ მოსდევდა და მოჭრილი თელის ხმელ ფესვებში შეიმალა. ერთხანს აქაც სმენად იყო ქცეული, მერე მიწას მიეყუდა, ფეხები ჩაიკრიფა, ჩაყუჩდა. გვერდი საშინლად სტკიოდა, უფეთქავდა და ებერებოდა. ასწია ფრთა, ბუმბული ნისკარტით გაისწორა, თავი მტკივან ადგილზე დაიდო და ზემოდან ფრთა დაიფარა. ახლა მარტო მტკივანი ადგილი კი არ უფეთქავდა, მთლიანად ფეთქავდა. თითქოს ძალზე დაღლილი იყო და სულს ითქვამდა.

ხმელი ფესვების ჭვეშ თოვლი არ იდო, მაგრამ შენესტიანებული მიწიდან საზარელი სიცივე გამოდიოდა. გაბერა ამ სიცივემ ტკივილი, გაავსო სხეული ყელამდე, სულ ცოტაც და ამოავსებდა, ამოჰგმანავდა სასულესაც. გამოიღო თავი ფრთის ქვეშიდან, დააღო პირი, ჩაისუნთქა წედიზედ გულამოსკვნილი ბავშვივით, ახტა დაბლითა ტოტზე, მერე მეორე ტოტზე, მერე მესამეზე, ჩქარობდა, წონასწორობას კარგავდა. აფრინდა და ფრთების ჩქარ-ჩქარი, თავგანწირული ქნევით წავიდა ვენახებისკენ, თბილი ბულულისკენ. აი გადაუარა ხეხილნარს, სადაც ჭიაღუას ეძებდა დილით, აი გამოჩნდა ბულულიც.

მაგრამ ბულულთან ხარებშებმული ურემი და ორი კაცი იდგა. კაცებს რკინის სამთითები ეჭირათ, შეუგდებდნენ ბულულს, ააგლეჯდნენ ჩრდილივით გაშლილ ქალამს, ბალახების ცვენით წააფრიალებდნენ ჰაერში და დააგდებდნენ ურემზე.

სკვინჩას ფრთები დაუდუნდა, ძლივს მოახერხა მავთულის გასაბმელ ბოძზე დაჯდომა. იჯდა და ქანაობდა. ქარი რომ წამოუბერავდა, თავს ვეღარ იჭერდა და ჭრელი, ლამაზი ფრთებით ბოძის თავზე იფართხებოდა.

კაცები ხელებს იორთქლავდნენ და თავიანთ საქმეს განაგრძობდნენ.

ისინი სკვინჩას ვერ ხედავდნენ.

ჟიალოგი მწერალთან



მწერალი რევაზ ინანიშვილი დაიბადა 1926 წლის 20 დეკემბერს ხაგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქარხანაში. 1947 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მეორე კურსზე რომ იყო, სამუშაოდ წავიდა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე. იქაც ორ წელიწადზე მეტ ხანს დაჰყო, შემდეგ ისევ უნივერსიტეტში დაბრუნდა და სრული კურსი დაამთავრა 1956 წელს. ერთხანს კვლავ სოფლად ცხოვრობდა. 1960 წლიდან მუშაობა დაიწყო საბავშვო გამომცემლობა „ნაკადულში“, ამჟამად მოღვაწეობს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო-სარედაქციო კოლეგიაში.

რევაზ ინანიშვილის პირველი მოთხრობა დაიბეჭდა 1951 წელს უნივერსიტეტის მრავალტირაჟიან ლიტერატურულ ალმანახში („პირველი ხმივი“), პირველი კრებული გამოვიდა 1953 წელს. დღემდე გამოცემული აქვს რამდენიმე კრებული, მათ შორის: „მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან“, „წვეთები ფოთლებზე“, „ცისფერი გორგალი“, „სად ცხოვრობს მეზღაპრე“, „ბაღამო ხანის ჩანაწერები“ და სხვა. მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია კინოფილმები: „არდადეგები“, „დაბრუნებული ღიმილი“.

მწერალს ესაუბრა გაზეთ „სამშობლოს“ კორესპონდენტი ჯემალ ჟურხული. გთავაზობთ ამ საუბარს:

● როგორ იბადება თქვენი მოთხრობის თემა, უცებ თუ თანდათანობით?

— ზოგი უცებ, ზოგი თანდათანობით. თუ მაინც და მაინც ის გაინტერესებთ რა უფრო დამახასიათებელია ჩემთვის, მაშინ უნდა გავაანალიზოთ ასეულობით დამოუკიდებელი თემა და მექანიკური შედარების საფუძველზე გამოვიტანოთ დასკვნა. მაგრამ ეს საქმე იმდენად შრომატევადია — ხომ უნდა გავიხსენოთ ყველა მოთხრობის წარმომავლობის მიზეზი — ეს კი გარჯად არა ღირს. გავიმეორებ — ზოგი თემა უცებ იბადება, ზოგი — თანდათანობით.

„მეიარაღის ქალიშვილის ამბავი“ მთლად მოულოდნელად დაიბადა. თბერვლის ერთ საღამოს კინოსცენარზე მუშაობით დაღლილმა, გაგრის ქუჩაში შევამჩნიე ახლადგაშლილი მშვენიერი წითელი ვარდი. იმავე საღამოს სცენარი გვერდზე გადადო და დაიწერა მოთხრობა. სამაგიეროდ „მგლის ლეკვები“ ათ წელიწადზე მეტ ხანს ბუნდოვან ფერებად და ხაზებად მომყვებოდა თან და, ბოლოს და ბოლოს, მიიღო სრულიად განსხვავებული სახე თავდაპირველ ჩანაფიქრთან შედარებით.

● გეშინიათ თუ არა თუნდაც დროებითი შეფერხებისა?

— არა, შეფერხებებისა არ მეშინია. ეს მოვლენა კანონზომიერებადაც კი მიმაჩნია მწერლის მუშაობაში. შეფერხებების დროს წვეთ-წვეთად გროვდება ახალი სიმაღლეების აღების ჟინი, დაგროვდება იმდენი, გეღარ დაიტევს საგორავი... და დაიძვრის თავისით.

● რა დროს გიყვართ მუშაობა, რა გარემო პირობებში?

— მე პროფესიონალი მწერალი არ გახლავართ. თან ვმსახურობ და თან ვწერ. ამიტომ ჩემს სურვილზე ნაკლებად არის დამოკიდებული, როდის ვიმუშაო და სად. ვმუშაობ მაშინ, როცა თავისუფალი დრო მაქვს, უმთავრესად საღამოობით. სწორედ აქედან მოდის ჩემი უკანასკნელი წიგნის სათაური — „საღამო ხანის ჩანაწერები“. წლების განმავლობაში საჭირო ბიბლიოთეკის მეცნიერ მუშაკთა დარბაზში, ვწერდი ყველაზე კარგად.

● ამბობენ, რევაზ ინანიშვილი მოთხრობასა და ნოველას უერთგულებსო. სხვა ლიტერატურული ჟანრებიდან თუ უნდა ველოდოთ რამეს თქვენგან?

— ვიცე თუნდაც ერთხელ მაინც განფინა თავისი სათქმელი ას საბეჭდ გვერდამდე, იგი ადვილად შეძლებს ასეთი რამ გააკეთოს მეორედ და მეათედაც (გაიხსენეთ ჩემი „ცისფერი გორგალი“). მაგრამ მე ე. წ. მცირე ფორმების ტრფიალი ვარ და ჯერჯერობით მაინც ამ ჟანრს შევალევ მთელ ჩემს ძალ-ღონეს. მე ასე ვფიქრობ: მთავარია აზრის გამოთქმის ინტენსიურობა. ამ ინტენსიურობის მიღწევა კი შეიძლება რამდენიმე სტრიქონითაც კი. ერეკლე მეფის ხმალს აწერია „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა“. ხომ დამეთანხმებით, რომ აქ დიდი აზრი დიდი ემოციური ძალით არის ნათქვამი?

● ნასალდათარმა თვითონ იცის, ვინც იყო მისი ასისთავიო. ვინ მიგაჩნიათ თქვენს ლიტერატურულ მასწავლებლად?

— ბევრნი. ძალიან ბევრნი. მაგრამ მათ შორის მაინც გამოვყოფ ვაჟა-ფშაველას. მისმა „ხმელმა წიფელმა“, „ამოდის, ნათდება“, „პატარა მწყემსის ფიქრებმა“ და „მოგონებამ“ უმცვეთრესი დღი დაიჩნიეს ჩემს ნაწერებს როგორც თხრობის მანერის, ისე სიგნებთან დამოკიდებულების მხრივ. ვაჟა ჩემთვის დღესაც იმ მასწავლებლად რჩება, რომელსაც თავისებურ ანგარიშს ვაბარებ როგორც მწერალი და მოქალაქე.

● რა აზრისაა რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაზე მწერლის ოჯახი?

— ეს კითხვა ღიმილს მგვრის. მაინც ვუპასუხებ: — დედა და მეუღლე, ვგონებ, დადებითი აზრისა უნდა იყვნენ. რაც შეეხება ვაჟებს... მაეჭვებს, რომ გულიგულში ისინიც ასე ფიქრობდნენ. უმცროსმა ჯერ კიდევ შარშანწინ (მაშინ ათი წლისა იყო) პირდაპირ გამიცხადა: ჟიულ ვერხის „საიდუმლო კუნძულისთახა“ წიგნს თუ დაწერ, ნამდვილ მწერალს მაშინ დაგიძახებო.

● თვითონ მწერალი?

— ეს ურთულესი კითხვაა, რომელიც ყოველდღე აწვალებს ალბათ ყველა მწერალს. აზის პასუხი ის იქნება, განვაგრძობ თუ არა ხვალ თუ ზეგ წერას. თუ განვაგრძე, მაშასადამე, მჯერა კიდეც, რომ რაღაც საჭიროს ვაკეთებ.

● თქვენი საყვარელი საქმიანობა ლიტერატურის შემდეგ?

— ბაღჩასა და ვენახში მუშაობა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო ხანებში ნაკლებად მეძლევა საამისო საშუალება. მარადჟამ მოფუსფუსე ქალაქს აღარ ვეთმობი ჩემი საყვარელი მიწის ნაკვეთისათვის.

● თქვენი წიგნებიდან რომელი უფრო მოგწონთ? რომელ მოთხრობას მოგვცემდით გაზეთ „სამშობლოში“ გამოსაქვეყნებლად?

— ჩემი წიგნებიდან ჯერ კიდევ დაუწერელი წიგნები მომწონს. გაბრჭყვენებულებიდან — „საღ ცხოვრობს მეზღაპრე“. მეჩვენება, რომ, როცა ამ წიგნს გკითხულობ, სულ კეთილთვალებიანი ყმაწვილები მისმენენ.

გაზეთ „სამშობლოს“ მოკრძალებით ვთავაზობ საბავშვო მოთხრობას „სკვინჩას“. ეს მოთხრობა შევა პატარა წიგნში, რომელსაც „მგლის ლეკვები“ ჰქვია და გაისად გამოსცემს „ნაკადული“...

ᲙᲝᲢᲔ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ



ქართული თეატრის რეფორმატორი კოტე მარჯანიშვილი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგაც (1897-1922) რუსულ თეატრში მოღვაწეობდა თავდაპირველად (1897-1901) მსახიობად, შემდეგ კი რეჟისორად და, ლუნაჩარსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რუსული თეატრის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა“.

კოტე მარჯანიშვილის რეჟისორული კარიერა 1901 წელს ქალაქ ვიატკაში ანტონ ჩეხოვის ცნობილი პიესის „ძია ვანოს“ დადგმით დაიწყო. ამ პირველი დადგმითვე კოტემ გაითქვა სახელი როგორც ნიჭიერმა და ნოვატორმა რეჟისორმა.

1904 წელს კოტე მარჯანიშვილი მიიწვიეს რიგაში მეცენატ ნეზლობინის რუსული თეატრის მთავარ რეჟისორად, სადაც შეხვდა მაქსიმ გორკის. სწორედ ამ ფაქტმა განსაზღვრა ახალგაზრდა რეჟისორის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მრწამსი. კოტე მარჯანიშვილი იყო რუსული თეატრის მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი პირველი, რომელმაც კარგად გაიგო მაქსიმ გორკის პიესების ისტორიული მნიშვნელობა და მისი ყველა პიესა დადგა. 1904 წლის 30 ნოემბერს რიგაში წარმოდგენილი მაქსიმ გორკის ახალი პიესა „მოაგარაკენი“ ნათლად ასახავდა რუსეთის ინტელიგენციის განწყობილებას 1905 წლის რევოლუციის წინ. ეს დადგმა რიგაში ისეთ დიდ მოვლენად იქცა, რომ ნეზლობინმა დასი ამ სპექტაკლით მოსკოვში წაიყვანა.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ უარყოფითი გავლენა იქონია მწერლობასა და ხელოვნებაზე. რუსულმა თეატრმაც გადაუხადა ხარკი დეკადენტურ მოძრაობას. ყველაზე მოწინავე — სამხატვრო და ვერა კომისარჟევსკაიას თეატრებიც კი დგამენ მეტერლინკის, დანუნციოს, უაილდის, ანდრეევის პიესებს. ამ ფონზე კოტე მარჯანიშვილი მაინც საინტერესო და თავისებურ მოვლენად დარჩა — პოლიტიკური რეაქციის წლებში შექმნილი მისი სპექტაკლები მაინც არ ქადაგებდნენ პესიმიზმს.

რეჟისორს ცენზურისაგან აკრძალული ჰქონდა მაქსიმ გორკის პიესების დადგმა, მაგრამ მის ხელში იბსენის „ბრძოლა ტარტისათვის“, „ნორა“ თუ „დოქტორი შტოკმანი“ რევოლუციური პომნიით ელერდა. ანდრეევის ღრმად პესიმისტური „ადამიანის ცხოვრება“ კი სამღდელოების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად აქცია. 1908 წელს კოტე მარჯანიშვილმა ოდესაში ჰელერმანის გიუნტიც“ ორიგინალური აღმოჩნდა სამხატვრო თეატრისათვის, რადგან რეჟისორმა სპექტაკლს შთაბერა ქართული რიტმი, ტემპერამენტი, ზეაწეული რომანტიკული ტონით წარმართა. გრიგის მუსიკაზე დაყრდნობით კოტე მარჯანიშვილმა ნამდვილი სინთეზური სანახაობა შექმნა.

1912 წლის ბოლოს სამხატვრო თეატრიდან წასულ მარჯანიშვილს თან გაჰყვა თეატრის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი. მან მოსკოვში ჩამოაყალიბა „თავისუფალი თეატრი“, რაც სრულიად ახალი მოვლენა იყო რუსული თეატრის ისტორიაში. ეს იყო სინთეზური თეატრი, სინთეზური არა იმიტომ, რომ დგამდა დრამას, კომედიას, ოპერას, ოპერეტას, პანტომიმას. არა, ის იყო სინთეზური ამ სიტყვის სრული გაგებით. რეჟისორი ერთ სპექტაკლში დრამატულ მოქმედებას უხამებდა თეატრალური ხელოვნების ყველა ელემენტს. თეატრმა მხოლოდ ერთი სეზონი (1913-1914) იარსება, ოთხი სპექტაკლი დადგა — მუსორგსკის ოპერა „სოროჩინის ბაზრობა“, ოფენბახის ოპერეტა „მშვენიერი ელენე“, შნიცლერის პანტომიმა „პიერეტას მოსასხამი“, ჰეზელტონფიურსტის დრამა „ყვითელი კოფთა“. ამ თეატრის ბაზაზე აღმოცენდა რამდენიმე თეატრი, მათ შორის მოსკოვის „კამერული თეატრი“.

1916 წელს მარჯანიშვილი პეტერბურგში რუსეთის ყველაზე დიდ საოპერეტო თეატრს („ბარიტონოვის, მოზგოვის, პოლიკარპოვისა“ და სხვათა) ჩაუდგა სათავეში. საყურადღებოა მისი მოღვაწეობა ოპერეტის ჟანრში. მარჯანიშვილი რუსული თეატრის ცნობილ რეჟისორთა შორის ერთი პირველთაგანია, რომელმაც თეატრალური ხელოვნების ყველაზე ჩამორჩენილი ამ ჟანრის რეფორმა დაიწყო. მარჯანიშვილმა აღადგინა ოპერეტის ხალხური საწყისები, მახვილი სატირა და მშრომელი მასების ინტერესების სამსახურში ჩააყენა.

1919 წელს უკრაინაში სამოქალაქო ომის პერიოდში კოტე მარჯანიშვილი უკრაინის საბჭოთა ხელისუფლებამ დანიშნა ნაციონალიზებული თეატრების სახელმწიფო კომისრად და კიევის სოლოვცევის დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორად. ამავე წლის 1 მაისს წარმოდგენილი ესპანელი დრამატურგის ლოპე დე ვეგას კლასიკური დრამა „ცხვრის წყარო“ მარჯანიშვილის დადგმით დიდ მოვლენად იქცა. გენიალურმა რეჟისორმა სამასი წლის წინათ დაწერილ პიესას ახალი სული შთაბერა და წარმოადგინა გლეხობის ბრძოლად ტირანიის წინააღმდეგ. ყოველი სპექტაკლი მთავრდებოდა აღფრთოვანებული მაყურებლის ინტერნაციონალის სიმღერით. ეს იყო პირველი რევოლუციური სპექტაკლი, ერთ-ერთი პირველი სიტყვა საბჭოთა თეატრის შემდგომი ზრდა-განვითარების საქმეში... ისტორიკოსი ა. დეიჩი „ცხვრის წყაროს“ საზოგადოებრივ რეზონანსს უთანაბრებს იმ წარმატებას, რაც თავის დროზე საფრანგეთის რევოლუციის წლებში წილად ხვდა ბომარშეს „ფიგაროს ქორწინებას“ და ჰიუგოს „ერნანს“. დენიკინის არმიის საველე ტრიბუნალმა მარჯანიშვილს „ცხვრის წყაროსათვის“ დაუსწრებლად გამოუტანა განაჩენი და დახვრეტა გადაუწყვიტა, როგორც მეფის მოღალატეს. შემოდგომაზე კიევი დროებით დენიკინის ჯარებმა დაიჭირეს. მარჯანიშვილი პეტროგრადში დაბრუნდა და გზად მოსკოვში რამდენიმე სპექტაკლი დადგა სხვადასხვა თეატრში, მათ შორის „იმედთა დაღუპვაც“ კი დადგა და ხელისუფლება მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა სცენაზე მარსელიოზამ დაიგრიალა.

1909 წელს კოტე მარჯანიშვილი მოსკოვში მიიწვია ნეზლობინმა თავისი თეატრის მთავარ რეჟისორად. იოლი როდი იყო რეჟისორის გამოჩენა იქ, სადაც სპექტაკლებს აჩვენებდნენ სამხატვრო, მცირე და კორშის სახელმოხვეჭილი თეატრები. მარჯანიშვილმა ნეზლობინის თეატრში მხოლოდ ოთხი სპექტაკლი დადგა და ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ თეატრი დაწინაურებულიყო და დიდძალი მაყურებელი გაეჩინა. შემომქედებითი უთანხმოების ნიადაგზე კოტე შუა სეზონში წავიდა თეატრიდან. იგი ბულგარეთში მიიწვიეს სოფიის სამეფო თეატრების მთავარ რეჟისორად, ავახსიც მიიღო, წასასვლელადაც გაემზადა, მაგრამ საქმეში ჩაერივნენ სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელები და კოტე სამხატვრო თეატრში დარჩა სამუშაოდ, სადაც თანარეჟისორობდა გორდონ კრეგთან და კონსტანტინე სტანისლავსკისთან „ჰამლეტის“ დადგმაზე, ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან დოსტოევსკის რომან „ძმები კარამაზოვების“ ინსცენირებაში და დამოუკიდებლად დადგა ორი სპექტაკლი — კნუტ ჰამსუნის „ცხოვრების ბრუნვალებში“ და ჰენდრიკ იბსენის „პერ გიუნტი“. ორივე დადგმას არნახული წარმატება ხვდა. პრესამ „ცხოვრების ბრუნვალებში“ დღესასწაულად მიიჩნია და როდესაც ცნობილმა მონარქისტმა პუროშკევიჩმა სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვაში რუსული თეატრის დაცემაზე ილაპარაკა, პროგრესულმა პრესამ მას მარჯანიშვილის დადგმულ „ცხოვრების ბრუნვალებზე“ მიუთითა, როგორც რუსული თეატრის ბრწყინვალე ნიშანსვეტზე. „პერ

ყველაზე საყურადღებო იყო ნიკიტსკის თეატრში ოდრანის კლასიკური ოპერეტა „მასკოტა“, რის გამოც „ვესტნიკ ტეატროვ“ წერდა: „თავისუფლად ვიტყვით, რომ ნიკიტსკის თეატრსაც შეეხო თეატრალური აღორძინების ცხოველმყოფელი სხივები. მარჯანიშვილის მიერ „მასკოტას“ დადგმა, გარდა იმისა, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრის რეპერტუარისათვის, ნამდვილი რევოლუციური ფაქტია თეატრის ცხოვრებაში“.

კლასიკური კომიკური ოპერის აღდგენის მიზნით 1920 წელს მარჯანიშვილი პეტროგრადში კვლავ ახალ თეატრს ქმნის. ეს იყო „კომიკური ოპერის სახელმწიფო თეატრი მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით“. აქ წარმატებით წარმოადგინეს დონიცეტის „დონ პასკუალე“, ჩიმაროზას „ფარული ქორწინება“, მოცარტის „სერალიდან გატაცება“, ობერის „ბრინჯაოს რაში“ და სხვა. მწერალი მარგველიანი ამ სპექტაკლების გამო აღფრთოვანებული წერდა: „ამ თეატრში თამაშობენ მსახიობები, დეკორაციებისა და კოსტიუმების ფერები, თამაშის დადგმის სტილი, მსახიობის რითმი, ინტონაცია, ხმის ყოველი ბგერა, ყოველი მოძრაობა, მთელი სხეული, მთელი არსება. კომიკური ოპერის თეატრი დაიბადა სამხრეთის მთაგორებით. ასეთი თეატრი დიდი ხანია პეტროგრადს არ უნახავსო“.

1920 წლის ივლისში პეტროგრადში კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის დელეგატთა პატივსაცემად კოტე მარჯანიშვილმა დადგა გრანდიოზული სანახაობა-სპექტაკლი, რომელშიც 10.000 „მსახიობი“ გამოიყვანა სცენაზე. დადგმას ვლადიმერ ილიას ძე ლენინიც დაესწრო.

1921 წელს მარჯანიშვილი პეტროგრადში სხვადასხვა თეატრს ხელმძღვანელობდა, 1922 წლის იანვარში მოსკოვს ჩავიდა. მას პრესა აღფრთოვანებით შეხვდა: „სალამი მოსკოვის სასიხარულო სტუმარს, კეთილისა და დღესასწაულის ჯადოქარს მარჯანიშვილს, ხელგზაშლილს, მდიდარს, რომელმაც რუსულ თეატრს აჩუქა სილამაზით მოკამკამე „ცხოვრების ბრუნვალებში“, ინტიმური და ამაღელვებელი „ცრემლები“, ფერებით მდიდარი „სოროჩინის ბაზრობა“ და „ყვითელი კოფთა“, რევოლუციური პათოსის „ცხვრის წყარო“, ურიცხვი, მხიარული და ბრწყინვალე ოპერა, ოპერეტა, კომედია“. კოტეს განზრახული ჰქონდა ახალი თეატრის შექმნა მოსკოვში, მაგრამ არც საამისო შენობა იყო და გულიც სამშობლოსაკენ მოუწევდა. 1922 წლის სექტემბრის დამდეგს კოტე თბილისს დაუბრუნდა და ქართულ თეატრს ჩაუდგა სათავეში.

1907 წელს მოსკოვში დაარსდა „ქართველთა საზოგადოება“, რომელიც მიზნად ისახავდა მოსკოველთათვის და ჩამოსული უცხოელებისათვის გაეცნო ქართული კულტურა. ამ საზოგადოების სულისჩამდგმელი ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინთან ერთად კოტე მარჯანიშვილიც გახლდათ. 1912 წელს საფრანგეთისა და ინგლისის პარლამენტების დელეგატთათვის „ქართველთა საზოგადოებამ“ სტუდენტთა ძალებით წარმოადგინა „ქართული ქორწილი“, რამაც უცხოელთა საერთო აღფრთოვანება გამოიწვია.

1931 წელს, მოსკოვში, კორშის თეატრში კოტემ დადგა იბსენის „მშენებელი სოლნესი“, რასაც ნორვეგიის პრესაც კი გამოეხმაურა. 1933 წელს მცირე თეატრში განახორციელა შილერის დრამა „დონ კარლოსი“, ოპერეტაში შტრაუსის „ღამურა“. ეს ორი უკანასკნელი დადგმა მან მარტოოდენ გენერალურ რეპეტიციამდე მიიტანა — 1933 წლის 17 აპრილს მოულოდნელად გარდაიცვალა.

კოტე მარჯანიშვილის ნათელ ხსოვნას უღრმესი პატივისცემითა და მოკრძალებული თაყვანისცემით ინახავს საბჭოთა თეატრალური საზოგადოება.

გიორგი ხარატიშვილი,
დოცენტი

„ᲓᲐᲘᲡᲘ“ ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲨᲘ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ხარკოვში გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი „დაისის“ პრემიერა, რომელსაც უდიდესი წარმატება ხვდა წილად.

აღსანიშნავია, რომ ამ ოპერის ცეკვები დადგა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა რევაზ მაჩაიძემ, რომელიც სპეციალურად მიიწვიეს ხარკოვში. ქართველი ბალეტმაისტერის დადგმული ცეკვები შესანიშნავი სანახაობა და „დაისის“ ნამდვილი მშვენება. პრემიერაზე „ბისზე“ შესრულდა „ქართული“ და „მთიულური“.

როგორც უკრაინულ პრესაში აღინიშნა, „დაისმა“, ქართული საოპერო ხელოვნების ამ თვალმარგალიტმა, დიდი სიხარული მიანიჭა მსმენელებს.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ დამდეგს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიმართა საბჭოთა ფილმების ფესტივალი, სადაც აჩვენეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები — „შენი ხელების სითბო“ („წუთისოფელი“), რომელიც პრესამ და მაყურებელმა მოიწონეს.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲡᲙᲘᲡᲐ და ᲜᲔᲛᲘᲠᲝᲕᲘᲩ-ᲓᲐᲜᲩᲔᲜᲙᲝᲡ სახელობის მუსიკალურმა თეატრმა მოსკოვში მაყურებელს პრემიერა უჩვენა — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის არამ ხაჩატურიანის ბალეტის „გაიანეს“ ახალი დადგმა. იგი განახორციელა თეატრის მთავარმა ბალეტმაისტერმა, სახალხო არტისტმა ალექსი ჰიჰინაძემ.

ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲓᲜᲔᲚᲘᲐ იპოვო ადამიანი, რომელსაც ბავშვობაში არ წაუკითხავს მარკ ტვენის „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“. ამ წიგნის სიყვარული მე დღემდე შემრჩაო, ამბობს ცნობილი ქართველი რეჟისორი გიორგი დანელია. მან უკვე დაიწყო მუშაობა ფილმის გადაღებაზე კინოსტუდია „მოსფილმში“. ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებს კინოსა და ესტრადის ცნობილი მსახიობი ვახტანგ კაკაბაძე.

ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ საესტრადო სიმღერის ახალგაზრდა შემსრულებელთა მეხუთე საქალაქო კონკურსი, რომელსაც თბილისში ყოველწლიურად აწყობს კომკავშირის საქალაქო კომიტეტი და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი. ჩვენი დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლებისა და საწარმო-დაწესებულებების ახალგაზრდათა გარდა, მასში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის ახალგაზრდობის წარმომადგენლები. კონკურსზე პირველი ადგილი მოიპოვა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტმა ეთერ იოსებიძემ.

ვრნიაჩკა-ბანიაში...

პირველ დეკემბერს ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში (იუგოსლავია) იწყება საინტერესო შეჯიბრება — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ჰადრაჟში. ეს ტურნირი 1969 წლიდან ტრადიციული გახდა. პირველ ასეთ შეჯიბრებაში დამაჯერებელი გამარჯვება ოზეიმა მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა, რომელმაც თასი თბილისში ჩამოიტანა. იუგოსლაველ ორგანიზატორებს უკვე ახალი თასის დაწესება მოუხდათ, მაგრამ მეორე გათამაშების მონაწილემ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ნანა ალექსანდრიამ მასაც თბილისში „ამოაყოფინა თავი". რაღას ეზამდნენ, ახლა უკვე მესამე თასი დაწესეს... მესამე გათამაშება მეტად სენსაციური შედეგით დასრულდა. ნონა გაფრინდაშვილის მონაწილეობის მიუხედავად, სპალტო ჯილდოს დაეუფლა ახალგაზრდა უნგრელი მოჭადრაკე ჟუჟა ვერეცი.

ახლანდელი, თასის IV გათამაშება იმით არის საყურადღებო, რომ მასში ადრინდელი 3 გამარჯვებული მონაწილეობს. მათი საბრძოლო მომზადება და სათამაშო განწყობილება, უნდა ვიფიქროთ, ერთნაირი არ არის. ნონა გაფრინდაშვილს წლეულს ფრიად დაძაბული საჭადრაკო სეზონი ჰქონდა. მან ალა კუშნირთან მძაფრ ბრძოლაში მსოფლიოს ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა, შემდეგ კი ჩინებულად ითამაშა სკოპლეში, ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადაზე, საბჭოთა კავშირის გუნდის პირველ დაფაზე. ეხლა ერთადერთი სასურველი სპორტული შედეგი ნონასათვის ევროპის ჩემპიონთა თასზე გამარჯვებაა. მაშ ასე, მსოფლიოს ჩემპიონი იუგოსლავიაში საავებით კონკრეტული სპორტული ამოცანის შესასრულებლად მიემგზავრება.

ნანა ალექსანდრიას წლეულს არსად უთამაშია. თავისი პატარა ვაჟის, გიორგის აღზრდით იყო გართული. ისე რომ, ვრნიაჩკა-ბანიაში თამაში ნანასათვის ამ სეზონში პირველი გამოსვლა იქნება. საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობა, რომელიც ეხლა ქალაქ ტოლიატიში მიმდინარეობს. ნანასათვის მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ეს ჩემპიონატი მსოფლიოს პირველობის საზონათაშორისო ტურნირის მონაწილეებს არჩევს, ნანა ალექსანდრიას კი ადრევე მიენიჭა ეს უფლება. ქართველი მოჭადრაკე კარგა ხანს ემზადებოდა ჩემპიონთა თასზე სათამაშოდ, დიდოსტატ ბუხუტი გურგენიძის ხელმძღვანელობით. იგი კისლოვოდსკსაც ეწვია, სადაც გურგენიძემ კარგად ითამაშა და დიდოსტატის ნორმა ერთხელ კიდევ შეასრულა.

თასის ეხლანდელი მფლობელი ჟუჟა ვერეცი ვრნიაჩკა-ბანიაში პირდაპირ ბულგარეთიდან ჩავა, სადაც მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში მონაწილეობს. შეჯიბრება დასასრულს მიუახლოვდა, ვერეცის შედეგი კი არ არის მაინც და მაინც საზარბაზნეო.

კიდევ ვინ გამოვა ვრნიაჩკა-ბანიაში? გამოჩენილი იუგოსლაველი ოსტატი, ამ თასის დაარსების ინიციატორი მილუნკა ლაზარევიჩი, რომელიც სისტემატურად გამოდის ამ ქალაქში საპრიზო ადგილებზე და სხვა ცნობილი მოჭადრაკეები. მაშ ასე, იწყება ფრიად საინტერესო პაექრობა, რომლის შედეგიც დეკემბრის შუა რიცხვებისათვის გახდება ცნობილი.

გივი გამრეკელი

კვლავ ბრინჯაო

დამთავრდა საბჭოთა კავშირის 1972 წლის პირველობა ფეხბურთში. ჩემპიონის საპატიო ტიტული ვოროშილოვგრადის „ზარიამ" მოიპოვა, მეორე ადგილზე 35 ქულით კიევის „დინამოა", მესამეზე კი ამდენივე ქულით, მაგრამ ბურთების უარესი შეფარდებით თბილისის „დინამო" იმყოფება. ქართველმა ფეხბურთელებმა, ისევე როგორც შარშან, წლეულსაც ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ეს ცუდი როდია, მაგრამ ისეთი რანგის გუნდისათვის, როგორიც თბილისის „დინამოა", მესამე ანდა მეორე ადგილი იმ წარმატებას არ განეკუთვნება, რომელიც გულშემატკივართა აღფრთოვანებას იწვევს. რესპუბლიკის უპირველესი გუნდისაგან ყოველთვის ისეთ თამაშს მოვითხოვთ, რომელიც მას გამარჯვებულის უმაღლეს კვარცხლბეკზე აიყვანს.

ცხადია, განსაკუთრებულ ინტერესს მძიმე წონის მოჭიდავეთა გამოსვლები იწვევდა. და აი მინსკიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა — ტურნირის მთავარი პრიზი ქართველმა ფალავანმა **ნოდარ მოდებაძემ** მოიპოვა. პირველი, ვინც 22 წლის თბილისელ სტუდენტს წარმატება მიულოცა, ალექსანდრე მედვედი გახლდათ, რომელმაც გაანცხადა, მოდებაძეს შეუძლია გახდეს ჩემი მემკვიდრე. ამის შემდეგ სახელოვანმა ფალავანმა ნოდარ მოდებაძეს თავისი საჭიდაო ფეხსაცმელი აჩუქა.

გაქარწყვება ფინალში

უქგოროდში გამართულ ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის ფინალურ ტურნირში შესანიშნავად იასპარეზა თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდმა, რომელსაც წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ ელოშვილი ხელმძღვანელობს. საქართველოს წარგზავნილებმა ჩემპიონის საპატიო ტიტული მოიპოვეს. ტურნირში საუკეთესო თავდამსხმელად თბილისელი ზურაბ გაგუა აღიარეს. ამ ჭაბუკ ფეხბურთელს გადაეცა აგრეთვე ბურთის ულამაზესად გატანისათვის დაწესებული სპეციალური პრიზი.

ღირსეული მემკვიდრე

საბჭოთა კავშირის ცხრაგზის, მსოფლიოს შვიდგზის, ოლიმპიურ ასპარეზობათა და ევროპის სამგზის ჩემპიონი ალექსანდრე მედვედი სამუდამოდ გამოეთხოვა აქტიურ სპორტს.

ჩემპიონთა ჩემპიონის ტატივსაცემად ბელორუსიის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მოაწყეს საერთაშორისო ტურნირი. მედვედის სახელობის პრიზისათვის ერთმანეთს ერკინებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ირანის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ასზე მეტი მძლეოსანი.

მიხეილ მესხს ეძებს... მესხს



სურათზე: რობერტ კენედი (მარცხნივ) კარგი თამაშისათვის მადლობას უხდის საბჭოთა კავშირის ნაკრების მარცხენა გარემარბს მიხეილ მესხს (მარჯვნიდან მეორე).

იმ კვლავ მწვანე მინდორზეა და ბურთს ადევნებული მეტოქის კარისკენ კვლავაც თავისი, მხოლოდ მიხეილ მესხის განუმეორებელი ფინტებით მიიწევს. ერთი კი არის — გატანილი ბურთის საპასუხოდ ტრიბუნებს აღარ წყდება მჭუხარე ოვაცია, ჰავრს აღარ აპობს ათეული ათასი კაცის შეძახილი: მესხი!.. მესხი!.. დღეს აქ, დიღმის საწვრთნელი ბაზის მყუდროებაში, პედაგოგი მიხეილ მესხი თავის აღსაზრდელებს ამეცადინებს და ეხლა მისი ყოველი ფინტი თუ გარღვევა ყველასათვის კარგად ცნობილ ცხოვრებისეულ კანონს ემსახურება. — ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო, რომ გვასწავლის. დიახ, პედაგოგი მიხეილ მესხი დღეს მწვანე მინდორზე იმიტომ გამოდის, რომ ბურთზე უშაღოდ შეჯავრებულ ჭაბუკებს, „ძია მიშას" სკოლაში თბილისის გარდა კასპიდან, მუხრანიდან და გორიდან რომ დადიან, უჩვენოს, აუხსნას, ურჩიოს და კვლავ უჩვენოს, თუ როგორ უნდა ითამაშონ ნამდვილი ფეხბურთი. არის კიდევ ერთი მიზეზიც (და ჩემი ღრმა რწმენით, არც თუ მეორეხარისხოვანი), რომელიც მიხეილ მესხს ყოველდღე სპორტულ ფორმას აცმევს და ბურთთან ადევნებულს მეტოქის კარისაკენ მიაქროლებს. ეს ფეხბურთის უდიდესი სიყვარული გახლავთ, თუმცა ამ სიყვარულზე ყველაზე უკეთ თვითონ მიხეილ მესხი გვეტყვის:

— ფეხბურთის სიყვარული ბავშვობიდან მომყვება და წლების სიმრავლე მას ვერაფერს აკლებს. ეხლა ისევე, როგორც წინათ, ღამითაც რომ გამომაღვიძონ და ბურთის თამაში შემომთავაზონ, უარს არ ვიტყვი. სხვანაირად რომ შემძლებოდა, სტადიონს კარგა ხნის წინათ შევაკეცევდი ზურგს, ამის მიზეზი არა ერთხელ მქონია...

მიხეილ მესხის სპორტული გზა ია-ვარდით ფენილი არ ყოფილა. ერთს რომ მისი სჯეროდა და წინასწარ „არზას" ადგენდა — აი ნახეთ, ეს ქერათმიანი ბიჭი სულ მალე ქვეყანას აალაპარაკებსო, მეორეს ეხლა უკვე მსოფლიოში უძლიერესი მარცხენა გარემარბი ნაკრებიდან გამოჰყავდა, ესაოდა, ჩვენ უნივერსალური ფეხბურთელები გვჭირდება, თავდასხმასა და დაცვაში ერთნაირად რომ თამაშობენო...

ფეხბურთის საბედნიეროდ, ჭეშმარიტი გულშემატკივრები არაფრად აგდებდნენ ვაისპეციალისტთა ამგვარ აზრებს და სტადიონზე კვლავ და კვლავ მიხეილ მესხის სანახავად მიდიოდნენ. ამ ერთმა კაცმა თავისი განუმეორებელი თამაშით იმდენი თაყვანისმცემელი გაიჩინა, რომ თბილისის კი არა, მოსკოვის ლუჟნიკის სტადიონიც კი, რომელიც 100 ათას კაცს იტევს, ვინ იცის, რამდენჯერ აავსო პირთამდე.

სწორედ მესხის, მეტრეველის, იაშინის, პონედელნიკის, ივანოვის ოსტატობამ ათქმევინა 1961 წელს ყოვლისმნახველ არგენტინელ გულშემატკივრებს — აი როგორი ფეხბურთის თამაშია საჭიროო. მესხისა და მისი მეგობრების ქებაში არგენტინელებს არც ბრაზილიელები ჩამორჩნენ — მათ ტრიბუნებსაც მრავალგზის მოსწყდა ოვაცია. მატჩის დამთავრების შემდეგ კი კარგი თამაშისათვის ქერათმიან გარემარბთან მადლობის სათქმელად თვით რობერტ კენედი მივიდა!

1969 წლის 8 აგვისტოს ჩვენი ვაზეთის ფურცლებზე ვწერდით, რომ მიხეილ მესხი დიდ ფეხბურთს გამოეწმვიდობა, რომ თბილისის „დინამოს" ლეგენდარულმა მარცხენა ფრთამ სპორტული კარიერა დაასრულა ზუსტად ისე, როგორც დაიწყო ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ — ბურთის გატანის წყურვილით აღგზნებულმა და საერთო სიყვარულით გარემოსილმაო...

რა თქმა უნდა, დიდი ფეხბურთიდან მესხის, მეტრეველის, პონედელნიკის, ივანოვისა თუ იაშინის წასვლას უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. ამ ფეხბურთელების მიერ მოპოვებულ ევროპის ჩემპიონის ტიტულს ეხლა სხვები ფლობენ, ჩვენი ქვეყნის ნაკრების დღევანდელი თამაშიც უფრო ხშირად კრიტიკას იმსახურებს ვიდრე ქებას. პრესაში კი იწერება — თუ ფეხბურთის სიკეთე გვინდა, მტკვრის ნაპირებზე კვლავაც უნდა ვეძებოთ მესხიო...

ათასიდან ერთის, მჯობნის მჯობნის გამოძებნა და გაზრდა არასოდეს ყოფილა ადვილი. ეს ყველაზე უკეთ ამ ორი-სამი ათეული წლის წინათ მიხეილ მესხის აღმზრდელს, ანდრო ჟორდანიას შეეძლო, ეხლა კი... აბა, მესხზე უკეთ მესხს ვინ მოძებნის! და ისიც ეძებს, ჯერ გორამდე გასწვდა, ოცნების თვალით კი მთელ საქართველოს გაჰყურებს. მითხრა, სპორტული სკოლა-ინტერნატის დაარსება რომ მოხერხდებოდეს, მაშინ ბათუმიდან, სოხუმიდან, ქუთაისიდან, გურჯაანიდანაც მოვლენ ჩემთან ფეხბურთზე შეყვარებული ჭაბუკებიო...

თვალი ბურთზე ადევნებულ პატარა ბიჭისკენ გამექცა, მობურთალში მიხეილის პირმშო პატარა მიშიკო მესხი ადვილად ამოვიცანი. ვუთხარი — კვირაც გვარზე ხტის, უმცროსი მიშიკოც ფეხბურთელი გამოვა-მეთქი. ნათქვამი ეამა, თვალებში სიხარულის სხივი ჩაუდგა. ცოტა ხანს ჩუმად იყო, ისიც ვაჟიშვილს გაჰყურებდა. მერე კი მიპასუხა, თუ ბურთი ჩემსავით შეიყვარა, უკვალოდ არც ის წავა დიდი სპორტიდანო...

ამ ოვაციდან მალე ორი კვირაც გამოვწიე, ის კი კვლავ ბავშვებს შეერია. დიღომში, მტკვრის ნაპირას დაცემულ სტადიონზე მიხეილ მესხმა მესხის ძებნა განაგრძო...

რევაზ მაჭავარიანი



თხუთმეტი წლის განმავლობაში მსოფლიოს უძლიერესი დამცველები ამ ფინტის წინაშე უძლურები იყვნენ. ფეხბურთის ისტორიაშიც იგი მიხეილ მესხის კუთვნილებად შეივიდა. ბევრმა თავდამსხმელმა სცადა მისი შესწავლა, მაგრამ ამაოდ, ვერა და ვერ შეძლო მისი ბოლომდე ამოცნობა. დღეს კი ლეგენდარული მარცხენა გარემარბი თავის საიდუმლოებას სიამოვნებით უმჟღავნებს პატარებს და მათ „მესხისებურ" თამაშს ასწავლის.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

პეტრიწონის სავანე



ქართული კულტურის საზღვარგარეთული ცენტრებიდან პეტრიწონის ანუ ბაჩკოვოს სავანეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მწერლობის, ისტორიისა და ფილოსოფიის განვითარებისათვის.

პეტრიწონის ანუ ბაჩკოვოს სავანის დამაარსებელი და აღმშენებელია ქართველი თავადი, ბიზანტიის კეისრის ალექსი კომნენის კარზე აღზევებული, დასავლეთის ჯარების მთავარსარდალი (დომესტიკოსი), მე-11 საუკუნის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ტაოელი გრიგოლ ბაკურიანისძე. გრიგოლმა ერთგული სამსახურისათვის, სხვა მრავალ სოფლებთან და აგარაკებთან ერთად, კეისრისაგან საჩუქრად მიიღო სოფელი პეტრიწო ანუ ბაჩკოვო. ეს სოფელი ასენოვრადის რაიონშია ქალაქ პლოვდივიდან 28 კილომეტრის დაშორებით. ამ სოფლიდან მიიღო სახელწოდება სავანემ — პეტრიწონის სავანე, ხოლო მისმა მოღვაწემ ქართველმა ფილოსოფოსმა იოანემ — პეტრიწონელი ანდა პეტრიწი.

გრიგოლ ბაკურიანისძე ბაგრატიონმა თავის ძმასთან აბასთან ერთად 1083 წელს ააშენა პეტრიწონის ანუ ბაჩკოვოს სავანე. პეტრიწონის სავანე აერთიანებს წმიდა სამების, წმიდა ნიკოლოზისა და წმიდა მთავარანგელოზის ტაძრებს. ამათ გარდა, ცალკე დგას სამრეკლო. პეტრიწონის სავანე ორსართულიანია, ქვაზოლიანი წყობით აგებული და დუღაბით ჩაბათქაშებული, ალყა გალავნით, ელიფსური ფორმის თაღებით, ლამაზი კარიბჭითა და სამრეკლოთი, ძველური ფორმის სათოფურ-სამიზნებლებით. სავანეს დღემდე შერჩა რკინის ფილამსრებიანი კარი.

გრიგოლმა შეუდგინა სავანეს ტიპიკონი (წესდება) ქართულ და ბერძნულ ენებზე, სადაც თავისი ვინაობის შესახებ ასე წერს: „აღვაშენე მე, გრიგოლმა, ღვთის ნებით, სევასტოსმა და მთელი დასავლეთის დომესტიკოსმა, ღვიძლმა შვილმა ნეტარი ბაკურიანისა, ბრწყინვალე ერისთავთერისთავისა, რომელიც წარმოშობით ვარ, იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან... ჩემს დასაცავად, სახსრად და სახსნელად (და არა მარტო ჩემი) არამედ ჩემი სანატრელი ღვიძლი ძის მაგისტროს აბაზისა“ (გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონი, სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1963 წელი).

1949 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ ბულგარეთში მივლინებულმა სამეცნიერო ექსპედიციამ აკაკი შანიძის, ნიკო ბერძენიშვილისა და ოთარ გიგინეიშვილის შემადგენლობით, სოფიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში იპოვა პეტრიწონის წესდების პირი ქართულ ენაზე, რომელიც შეტანილი იყო დაბეჭდილ კატალოგში როგორც უცნობი სომხური წიგნი!

პეტრიწონის ტიპიკონის ბერძნული ტექსტი, რომელიც პეტრიწონში ინახებოდა, გადაუწერიათ არაუადრეს მე-13 საუკუნისა და მასში შეუტანიათ ცვლილება, თითქოს ტიპიკონი შედგენილი იყო ქართულ-ბერძნულ და სომხურ ენებზე და თითქოს გრიგოლი ტიპიკონს სომხურ ენაზე აწერდეს ხელს.

ტიპიკონის სომხური ტექსტი და გრიგოლ ბაკურიანისძის სომხური ხელმოწერა ნამდვილად ნაყალბევია. ეს აზრი მტკიცდება ტიპიკონის ტექსტების ობიექტური შესწავლით.

საინტერესოა, ტაოელი ქართველი ერისთავთ-ერისთავი, ბაგრატიონი გრიგოლ ბაკურიანისძე, მის მიერ ქართველებისათვის დაარსებულ პეტრიწონის სავანეში, სადაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა სწავლება და მღვდელმსახურება, მის მიერ შედგენილ ტიპიკონს რატომ მოაწერდა ხელს სომხურ ენაზე? გრიგოლ ბაკურიანისძის სომხური ხელმოწერისა და პეტრიწონის ტიპიკონის სომხური ტექსტის არსებობის უაზრობა მეცნიერულად ბრწყინვალედ აქვს დასაბუთებული აკადემიკოს აკაკი შანიძეს ნაშრომში „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში“ (1971 წელი, თბილისი, ქართულ და რუსულ ენებზე).

პეტრიწონის სავანის პირველ წინამძღვრად გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ დამტკიცებული იყო გრიგოლ მონაზონი (ვანელი).

ცნობილმა ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწემ გრიგოლ ბაკურიანისძემ არა მარტო ააშენა პეტრიწონის ანუ ბაჩკოვოს სავანე, არამედ უზრუნველყო იგი მატერიალურად და შესწირა მას უამრავი ქონება: აგარაკები ბაჩკოვო, დობროსტანი, ბურსეოსი, ლალკუვა და ავროვა თავიანთი შემოსაზღვრული მამულებით. ამათ გარდა, მრავალი ციხე, სოფელი, ათასგვარი ნივთი, პატიოსანი თვლები და სხვა. გრიგოლმა ყველაფერი ეს დაუმტკიცა სავანეს და გაათავისუფლა იგი ყოველგვარი საერო და საეკლესიო გადასახადებისაგან. გრიგოლ ბაკურიანისძემ ტიპიკონის 24-ე თავში აკრძალა პეტრიწონის სავანეში ბერძნების მიღება. სავანე აშენებული იყო ქართველის მიერ მხოლოდ ქართველებისათვის.



პეტრიწონში 51 ქართველი იყო. თუ ვინმე გამოაკლდებოდათ, ისევ თავიანთი აღზრდილი ბერით შეავსებდნენ ამ რიცხვს. ამჟამად პეტრიწონში მხოლოდ 31 კაცი მოღვაწეობს. მათ შორის წინამძღვარი — არქიმანდრიტი კლიმენტი კინოვი, 17 ბერი, 10 მომსახურე (მდივანი, მოლარე, მზარეული და სხვა), სამი გიდი. მათ შორის რუსული ენის მცოდნე არქიმანდრიტი კლიმენტი რილელი (კუჩეროვი). ეს უკანასკნელი რილის მონასტრის წინამძღვარი იყო, მაგრამ რადგან 1961 წელს რილის მონასტერი ბულგარეთის ეროვნულ მუზეუმად გადაიკეთეს, იგი პეტრიწონის სავანეში გადმოვიდა.

პეტრიწონის სავანის ღირსშესანიშნაობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია უძველესი ნაკეთობის ღვთისმშობლის ხატი. იგი 1311 წელს მოუჭედავთ ქართული ოქრომჭედლური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ნაზი აჟურჭიდით. 1819 წელს იგი ვერცხლის უშნო, ტლანქი სამოსით შეუმოსავს პეტკუ ხამრი ლომისს. ძველ სამოსელზე ღვთისმშობლის ხატს ასომთავრული ით აწერია, რომ იგი მოჭედეს ტაოელმა ძმებმა ათანასე და ოქროპირმა.

პეტრიწონის სავანის დიდი ბიბლიოთეკა და ხელნაწერები მხოლოდ ნაწილობრივ არის აღწერილი და გადატანილი სოფიის სინოდალურ ბიბლიოთეკაში. ნაწილი ბერძნული ხელნაწერებისა რილის მონასტერშია, ნაწილი ჭიოსზე კორაის სახელობის ბიბლიოთეკაში, მათ შორის ტიპიკონის ქართული ტექსტის 1-145 გვერდები და ამავე ტიპიკონის ბერძნული ვარიანტის 146-298 გვერდები და სხვა. 1941-1945 წლებში პეტრიწონიდან გაიტანეს დიდძალი ლიტერატურა, წიგნები, ხელნაწერები, რომლის კვალი ჯერჯერობით არა ჩანს. სავანეს აქვს მუზეუმი, სადაც ინახება ძირითადად საჩუქრები და საეკლესიო ნივთები. პეტრიწონის სავანეს ამშვენებს ფრესკები, მხატვრობა, ქართული ხელოვნების იშვიათი ლამაზი ნაკეთობანი. 20 წლის განმავლობაში პეტრიწონში მოღვაწეობდა ქართველი ფილოსოფოსი იოანე, შემდგომში პეტრიწონელად (პეტრიწად) წოდებული, რომელმაც სასულიერო სემინარია აკადემიად გადააკეთა და დიდი კულტურული საქმიანობა გააჩაღა. აქ იკვლევდნენ და სწავლობდნენ ისტორიას, ფილოსოფიას, ენას (გრამატიკას), ასტრონომიას, ბიბლიოგრაფიას, აგიოგრაფიას, პიიტიკასა და სხვას. იოანე პეტრიწი 1106 წელს ქართველთა მეფემ დავით აღმაშენებელმა მიიწვია მის მიერ შექმნილ გელათის აკადემიაში მასწავლებლად.

პეტრიწონის აკადემიის მნიშვნელობა განუზომელია ქართული კულტურის ისტორიაში. ამ აკადემიამ შექმნა სრულიად დამოუკიდებელი ეროვნული მიმართულება მეცნიერებათა მთელ რიგ დარგებში. მის სამეცნიერო მუშაობაში არის საერო იდეოლოგიის ტენდენცია და მთელი მისი ფილოსოფიური, ისტორიული კვლევა-ძიება ცდილობს განთავისუფლდეს საღვთისმეტყველო სქოლასტიკისაგან; მან გამოიყვანა ქართული მეცნიერული აზრის განვითარება ბერძნულ-ბიზანტიური მეურვეობიდან და მტკიცედ დააყენა იგი ეროვნული განვითარების გზაზე. ის წარმოადგენდა ერთ უმძლავრეს კულტურულ ფაქტორს და მეცნიერულ დახასყრდენს საქართველოში უმაღლესი განათლების აღმოცენებისათვის.

ქართველი მოღვაწეების გრიგოლ და აბას ბაკურიანისძეთა მიერ ბულგარეთის მიწა-წყალზე აშენებული პეტრიწონის ანუ ბაჩკოვოს სავანე თავისი ძველთა-ძველი ხუროთმოძღვრებითა და ფრესკებით ქართული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლია.

გორის კანდელაკი,
რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

* * *

სურათზე: ზევით — გრიგოლ და აბას ბაკურიანისძენი, შუაში ბიზანტიის იმპერატორი ალექსი კომნენი.

დაგეძებენ, მოგელიან

ბიძინა ელიზბარის ძე ბაკურაძეს,

დაბადებულს 1920 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ზნაკვაში, ეძებენ დედა — **პასკო,** დები — **მარხი** და **ლეილა ბაკურაძეები,** მცხოვრებნი სოფელ ზნაკვაში.

შოთა ანგონის ძე სანიშვილს,

დაბადებულს 1922 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგოითში, ეძებს დედა — **მარო თედორეს ასული სანიშვილი,** მცხოვრები სოფელ ნიგოითში.

ალექსანდრე მიხეილის ძე კაპარავას,

დაბადებულს 1914 წელს აბაშაში, ეძებენ დედა — **ეფროსინე,** მეუღლე — **თათუშა,** შვილები — **მიხეილ, ტურფა, მურმანი,** დები — **თამარ, ჟუჟუნა,** ძმები — **კოტა** და **ოთარ კაპარავები,** მცხოვრებნი სოფელ ნორიოში.

გიორგი ნიკოლოზის ძე ბარნაბიშვილს,

დაბადებულს 1920 წელს ქასპის რაიონის სოფელ ბარნაბიანთკარში, ეძებენ დები — **ელენე, მარო, ყენია ბარნაბიშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, ავჭალის გზატკეცილი № 23, III სადარბაზო, 31 ბინა.

ნიკოლოზ იასონის ძე შარაბიძეს,

დაბადებულს 1910 წელს მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელში. ეძებს და — **მარიამ შარაბიძე,** მცხოვრები თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-2 კვარტალი, III კორპუსი, № 38 ბინა.

გიორგი (შალვა) იოსების ძე ბაბაჟანიშვილს,

დაბადებულს 1903 წელს ქასპის რაიონის სოფელ ერთაწმინდაში, ეძებს მეუღლე — **ანა ბატკუაშვილი,** მცხოვრები თბილისში, თემქის დასახლება, II კვარტალი, 231 კორპუსი.

ძმებს ივანე და დავით ალექსის ძე გეჟაშვილებს,

დაბადებულთ 1908 და 1921 წლებში სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში, ეძებენ და — **თამარ,** ივანეს შვილი — **ჯემალი,** ძმისწული — **ზელიმხან გიორგის ძე ბეჟაშვილები,** მცხოვრებნი სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანში.

ძმებს ბენია და გივი ათანასეს ძე მეჭვაბიშვილებს,

დაბადებულთ 1917 და 1918 წლებში მახარაძის რაიონის სოფელ ვაკიჯვარში, ეძებენ დედა — **პელაგია,** დები — **არეთა, მარო, ტატიანა, ნადია,** ძმები — **კონსტანტინე** და **ალექსანდრე მეჭვაბიშვილები,** მცხოვრებნი სოფელ ვაკიჯვარში.

გიორგი (ბარდღა) მიხეილის ძე ვახანიას,

დაბადებულს 1921 წელს ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოქალაქევში, ეძებენ დედა — **ელპიტე,** მამა — **მიხეილი,** და — **ლიდა ვახანიები,** მცხოვრებნი ხობის რაიონის სოფელ ჭვემო ჭალადიდში.

ვასილ პარმენის ძე დვალს,

დაბადებულს 1905 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ შრომაში, ეძებენ დედა — **ეფროსინე,** დები — **ეკატერინე, ვენერა, დომნა, რაისა,** შვილები — **ჯემშერ, ცისანა დვალები,** მცხოვრებნი სოფელ შრომაში.

ვალოდია პავლეს ძე ცოტაძეს,

დაბადებულს 1921 წელს აბაშის რაიონის სოფელ სამიქაოში, ეძებენ დედა — **მარო,** სიძე — **ჟორა,** დისწული — **ამირან ბაბუაძეები,** მცხოვრებნი გაგრაში, ლენინის ქუჩა № 16 ა.

რედაქტორის მაგიერ ვასილ მჭედლიშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.